ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 6 იანვარი, 1920 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. მეოთხე გვერდზე 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 4 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 4

თავზარდაცემული მეუღლე ფატი, ქალიშვილი თამარი, ძმები: ივანე, მათე და ალფესი, რძლები: ივლიტე, ლისა, კატო და ანიკო, ძმის შვილები: შალიკო, ნოე, ბეჟანი, კოლია, ტარიელ, ლეო და ფაცია დოლიძენი, დები: ასინე, ჟოზეფინა, რისიმე, ტერეზი და სიძენები: კონსტანტინე, ესტატე, სამსონ და კალისტე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარ

ვარლამ ბეჟუკის ძე დოლიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება სამშაბათს 6 იანვარს დილით 10 ს ფიჩხისჯვრის ეკლესიის გალავანში. (61 1—1)

ღრმად დაწუხრებული ცოლის და ესმა ასამბაძე შვილებით ნინო, ალექსანდრე და გოგი, ცოლის ძმები: ნიკიფორე გორდელაძე და მეუღლე მისი მინიკა შვილებითურთ არსენ გორდელაძე და შვილი მისი ვალიდა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი სიძის

ვარლამ ბეჟუკის ძე დოლიძის

გარდაცვალებას, დასაფლავება მოხდება სამშაბათს 6 იანვარს დილით 10 ს. ფიჩხის ჯვრის ეკლესიის გალავანში. (61 1—1)

უზომოთ დაწუხრებულნი: დედა ტასი, ცოლი თეკლი, ქალი ზინა დოლიძენი და სიმამრი ალექსანდრე ორაგველიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხუთშაბათს, ამა წლის 8 იანვარს (ახ. სტ.) დღის 12 საათ. სოფელ ქვიანის მაცხოვრის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის საყვარელის და დაუვიწყარის

პლატონ ლუკას ძე დოლიძის

სულის მოსახსენებლად (57—1—1)

უზომოთ დამწუხრებულნი: მამა ერმილე, დედა ელისაბედ, ძმები: გიორგი და კონდრატი, დები ვალენტინა და ხუტუ, ბიძა კოსტა, ბიცოლა პოლინე, ბიძისშვილები პარმენ და ნადეჟდა ჯიბლაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ სამშაბათს, ამა წლის 6 იანვარს ახ. სტ.) დღის 12 საათზე სოფ. ჯაპანის წმ. გიორგის ეკლესიაზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის საყვარელის და დაუვიწყარის

ელიფანე ერმილეს ძე ჯიბლაძის

სულის მოსახსენებლად. (57 1—1)

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: ცოლი ელვასი, შვილები ლენა და შურა, დედა ნინო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 26 ამ თვეს ძველი სტილით გადახდილი იქნება პანაშვიდი უდროოდ გარდაცვლილ მათთვის დაუვიწყარ

სამსონ ილარიონის ძე პალანდაძის

წლის თავის აღსანიშნავად (59—1—1)

ღრმეს მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ზაქარია და ალექსანდრა, ძმა ტერენტი და რძალი ეკატერინე, დები: ზინა და ქსენია ციცქიშვილები, სიძე ტრიფონ თეიმურაზის ძე კოტარია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს 7 იანვარს ზვარის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ სტუდენტ-სამხედრო შოფერის

სილოვან ზაქარიას ძის ციცქიშვილის

სულის მოსახსენებლად (3463 1—1)

იპოლიტე ფილიპეს ძე კაველაშვილი შვილებით: ვახტანგ და ზიზოთი და კალისტინა დიმიტრის ასული კაველაშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 3 იანვარს, სოფ. გომში გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, მეორეთათვის ძვირფასი დედა, ხოლო მესამისათვის ძვირფასი რძალი

ნადეჟდა პარმენის ასული მაჭარაშვილი-კაველაშვილისა

გასვენება დღეს 6 იანვარს, სოფ. გომიდან სოფ. ალში, სადაც დაკრძალულ იქნება წმ. თომა მოციქულის ეკლესიის გალავანში. (66—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ესტატე დიმიტრის ძე და ელისაბედ ანდრიას ასული ლომიძეები შვილებითურთ: თამარით და დიმიტრით და სიძით იოსებ ჩახნაშვილით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ 7 იანვარს (ახალ სტილი) იქნება გადახდილი ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდები განსვ. სტ მედ.

მიხეილ (მიშა) ესტატეს ძე და ელისაბედ დიმიტრის ასულის ლომიძეების

ხსოვნის აღსანიშნავად. წირვა გადახდილ იქნება ქ. სურამში, ღვთის მშობლის ეკლესიაში. (54—1—1)

ღრმესად დამწუხრებულნი: დედა [illegible], მამა დათიკო, დები: სოფიო, ანეტა, დომნიკა და ძმა კარლო კუკულაძენი, ბიძა იაგორ და ბართლომე მეგრელიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებთ და მეგობრებთ, რომ 8 იანვარს (ახ. სტ.) დილით ხუთშაბათს სოფ. ზემო აკეთში (გურია) წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი შულავერის ბრძოლაში მტერთან შეტაკების დროს მოკლულ პრაპორშჩიკ

ექვთიმე დათიკოს ძე კუკულაძის

სულის მოსახსენებლად. (45—1—1)

დამწუხრებულნი: ქმარი პეტრე, მაზლები: ვანო და ილია მაისურაძეები, ძმები: დავით, გრიგოლ და ალექსანდრე ცოლებით ყაზიშვილები, და ევა ყაზიშვილი, ბიძა გიორგი ცოლით პელაგო კობაიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მოკლე ხნის ავადმყოფობის შემდეგ 5 იანვარს გარდაიცვალა

სოფიო მიხეილის ასული მაისურაძისა

დაკრძალვა 8 იანვარს პეტრე-პავლის სასაფლაოზე. 64—1—1)

მოითხოვეთ ყველგან
უმაღლესი ხარისხის
**კონიაკი
და არაყი**
ი. მ. ლაზარევის
თფილისი, კიროჩნი ქ. № 19. (3366 1—1)

ს. ს. დ. მ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი
გადავიდა ახალ ბინაზე
კრუზენშტერნის ქუჩა (კუთხე რუსთაველის პროსპექტისა), იქ, სადაც გაზ. „ბორბა"-ა მოთავსებული. (უფ. 3—1)

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბთან არსებული სარეკვიზიციო კომისია აცხადებს, რომ დღეს, სამშაბათს 6 იანვარს დღის 12 საათზე დანიშნულია
დაწუნებული ცხენების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა. (ნ. 1—1)

ხილის, თევზის და სხვა საქონლის სავაჭრო
ივანე ბალავაძისა
ქ. თფილისი, ახალი ბაზარი, მუზეუმის გვერდში. გვაქვს გურიიდან ჩამოტანილი
მაღლარის კარგი ხარისხის **ღვინო**
მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ როგორც ფუთობით, ისე ბოთლობით, რაც შეიძლება იაფ ფასებში. (63—1—1)

საჭიროა გამოცდილი
ბუღალტერები და ბუღალტერის
თანაშემწენი
უპირატესობა მიეცემა სამეურნეო და ღვინის დარგებში ნამუშევართ. მისამართი: მიწად-მოქმედების სამინისტროს ბუღალტერია 9—3 საათ. (ნ. 3—2)

ექიმი ხარდიონ ამბროსის ძე
ცეხანოვსკი
საპიორნი ქუჩა საკ. სახლი № 28 ევანგულოვის ქუჩის კუთხე სახელმწიფო თეატრის უკან.
ჩამოვიდა ქუთაისიდან და ღებულობს სქესის, შარდის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს (606—914)
მიღება: დილის 8—9 ს. მოწაფეებს და ღარიბებს უფასოთ. 10—12 ს. საღამოს 4—5 ს. მარტო ქალებს 5—6 ნახ. ს. (თ.—3423)

ქ. თფილისი
პლეხანოვის პრ. № 146
გაიხსნა ახლად გაკეთებული სასტუმრო
„სოიუზი"
რომელსაც აქვს საუცხოვოთ მორთული ოთახები, ჰყავს დახელოვნებული და ზრდილობიანი მოსამსახურენი, ფასები ხელმისაწვდომია.
პატივისცემით რ. ნ. კილურაძე. (3448—3—3)

წითელი არმიის კავკასიასთან მოახლოვების გამო

ბოლშევიკები განაგრძობენ შეტევას. სადგურ ლიხაიას დაჭერით მათ პირდაპირი გზა ეხსნებათ ქ ნოვოჩერკასკისკენ და იქიდან როსტოვისკენ. ქალაქ ცარიცინის აღების შემდეგ საბჭოთა რუსეთის ხელში ვარდება მთელი ვოლგა და არავითარი დაბრკოლება აღარ რჩება ყუბანის გზაზე. მოკლე დროში მოსალოდნელია მოშლა იმ ბარიერების, რომელიც კავკასიას და სოვდეპიას შუა ამართული, და პირისპირს შეხვედრა ჩვენი და საბჭოთა რუსეთის. და ჩვენი პოლიტიკური მოვალეობაა წინდაწინვე ნათელი აზრი შევადგინოთ იმ ძალაზე, რომელიც ჩვენ გვიახლოვდება, გავითვალისწინოთ მისი ბუნება, მისი ლტოლვილებანი და აქედან დასკვნა გავაკეთოთ იმ ხვედრის შესახებ, რომელიც „წითელ არმიას" მოაქვს ჩვენის ქვეყნისათვის, და იმ პოზიციის შესახებ, რომელსაც ჩვენ უნდა დავადგეთ მათ მოახლოვებისას.

ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენი აზრი ბოლშევიკურ პოლიტიკაზე. რაც უნდა სხვადასხვანაირი იყოს ის სიტყვიერი მიზნები, რომელსაც ისახავენ, ერთის მხრით, საბჭოთა რუსეთი, მეორეს მხრით, ძველი რუსეთის იმპერიის აღმდგენელნი, მათი საქმე, მათი სამოქმედო ტაქტიკა ძალიან ემსგავსება ერთიმეორეს. ეს იმით აიხსნება, რომ ეს ორი ერთი-მეორესთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ მებრძოლი ძალა არსებითად ერთნაირ პოლიტიკურ ნიადაგზე დგას; ეს პოლიტიკური იდეა, რომელიც სათავეში უდევს ორივე მხარის პოლიტიკურ საქმიანობას, გულისხმობს უმცირესობის დიქტატურას უმრავლესობაზე, ე. ი. დემოკრატიზმის სრულს უარყოფას. საქმე არ იცვლება იმით, რომ ერთი ძალა პროლეტარიატის დიქტატურაზე ლაპარაკობს, მეორე კი „ინტელიგენციის", ე. ი. ჩინოვნიკების დიქტატურაზე ოცნებობს. საერთო აქ ის არის, რომ ერთიც და მეორეც ხალხს სთვლის იმ ნედლ მასალად, რომელზედაც შედარებით სულ პატარა, მაგრამ აქტიურ ჯგუფს შეუძლიან თავისი ექსპერიმენტები სცადოს.

ორივე მხარე ერთნაირ იდეოლოგიის მატარებელია და ამით აიხსნება ის მსგავსება პოლიტიკურ ხაზისა და ჩვეულებებისა, რომელიც არა ერთხელ აღვნიშნავს საბჭოთა რუსეთის და ძველი რუსეთის მოქმედებაში.

მეტადრე დიდი მსგავსებაა იმ პოზიციაში, რომელსაც ადგება საბჭოთა რუსეთი „ინოროდცების" მიმართ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს პოზიცია ანგარიშს არ უწევს რომელსამე ერის თუნდაც ერთსულოვნად გამოთქმულს სურვილებს და შესაძლებლათ სთვლის დაპყრობის პოლიტიკის წარმოებას. მაშასადამე რა სანელებელითაც გინდათ შეანელეთ ბოლშევიკების პოლიტიკა, თუნდაც ამ სანელებელს „კომუნიზმი" ეწოდებოდეს, ერს იგი ისევე უნდა ემწაროს, როგორც ემწარებოდა ძველი რუსეთის პოლიტიკა, რადგან ერისათვის მას მოაქვს ძალდატანება, წელში გატეხვა და კულტურული დაქვეითება.

კიდევ უფრო თვალსაჩინო და ჩვენი ქვეყნისათვის საყურადღებოა ბოლშევიკების „აღმოსავლეთის პოლიტიკა", სიტყვით საბჭოთა რუსეთი მიზნათ ისახავს „აღმოსავლეთში სოციალურ რევოლუციის" გაღვივებას. საქმით კი მათი „აღმოსავლეთის პოლიტიკა" პირწავარდნილი ცარიზმის პოლიტიკაა. ბოლშევიკებს რაღაც ისტორიული ბედისწერა მიაქანებს იმავ კალაპოტისაკენ, რომელიც საუკუნოებრივ მუშაობის პროცესში გაიკვალა მეფის რუსეთმა. ამ პოლიტიკას საფუძვლად უდევს რუსეთის მეტოქეობა ინგლისთან ინდოეთის მხრით. ეს მეტოქეობა აიძულებდა ძველ რუსეთს მხარი დაეჭირა და მფარველობით მოპყრობოდა იმ აღმოსავლეთის სახელმწიფოებს, რომლებიც თურქესტანსა და ინდოეთს შუა მდებარეობდნენ.

საბჭოთა რუსეთი დღეს იმავ გზით განაგრძობს აღმოსავლეთისაკენ სვლას, რომლითაც მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მიდიოდა რუსეთის იმპერია და რომლითაც სვლა დროებით შეაფერხა საერთაშორისო ომმა. ამის ნიშნები აშკარათ ემჩნევა ბოლშევიკების მოქმედებას: კავშირი ავღანისტანთან, მოლაპარაკება ახალგაზრდა თურქებთან, აგიტაცია სპარსეთში ინგლისის წინააღმდეგ, ყველა ეს იმის განმეორებაა, რაც განვლილ ისტორიულ პროცესში ძველმა რუსეთმა დაუტოვა სამკვიდროთ ახალ რუსეთს. წვრილმანებშიაც კი ვხედავთ მსგავსებას: ამ დღეებში ბოლშევიკურმა რადიომ გვაუწყა „სადღესასწაულო შეხვედრაზე", რომელიც მოხდა „წითელ არმიასა და ბუხარის სახანოს ჯარებს შუა".

რაც უნდა სხვანაირი იყოს ის სიტყვიერი მიზანი, რომელიც საბჭოთა რუსეთის მესვეურთა ტვინში ისახება და რომლითაც ისინი მიდიან აღმოსავლეთისაკენ, საბოლოო ნაყოფი მათის პოლიტიკისა აღმოსავლეთში არ შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს იმ ნაყოფისაგან, რომელზედაც ოცნებობდა თვითმპყრობელ მეფეების რუსეთი.

საბჭოთა რუსეთის ამნაირმა „აღმოსავლეთის პოლიტიკამ" შესაძლოა ჩვენს ქვეყანას ისეთივე შედეგები მოუტანოს, რომელიც მოუტანა მას ძველი რუსეთის „აღმოსავლეთის პოლიტიკამ". საქართველო მდებარეობს რუსეთიდან აღმოსავლეთისაკენ გასავლელ გზაზე და მისი ხელში ჩაგდება ძველ რუსეთისათვის ხელსაყრელი საშუალება იყო აღმოსავლეთისაკენ მიწევის საქმეში. რუსეთის იმპერიამ „დიდი რუსეთის" ლოზუნგით შემოსდგა ფეხი საქართველოში. შესაძლებელია საბჭოთა რუსეთმა „კომუნიზმის" ლოზუნგით მოინდომოს „წითელი არმიის" შემოყვანა ჩვენს საზღვრებში. ნათქვამია, „კალმახს ურჩევნიან, როდესაც მას კარაქში ხრაკავენო", მაგრამ ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა დემოკრატიამ კარგათ იცის, რომ მისთვის არავითარი განსხვავება არ არის, რომელი უცხო ჯარი შემოდის საქართველოში ძალდატანების მიზნით, ძველი რუსეთისა თუ საბჭოთა რუსეთისა. განსხვავება იმაშია, რომ, თუ საბჭოთა რუსეთის „წითელი არმია" არ შეჩერდება კავკასიის საზღვრებზე და ჩვენ ქვეყანაში მოინდომებს შემოსვლას, მას ადგილობრივ სულ სხვა პირობები დაუხვდება, ვიდრე ოდესმე დაუხვდა რუსეთის გვირგვინოსნების ჯარებს: მას საქმე ექნება სახელმწიფოსთან, რომელიც დემოკრატიის მიერ არის შექმნილი, რომლის აკვანს დემოკრატია უდგია გუშაგათ და რომელსაც იგი არავის დაანებებს, თუ არ თავის სიცოცხლით ფასად.

უდიდესი საკითხი

სასურსათო საკითხი თავსამტვრევ საკითხათ გადაიქცა. ბევრი დაიწერა, ბევრი ითქვა, მრავალი პროექტები იყო და იქნება. ვინ არ იკისრა და არ ლამობს სამკურნალო რეცეპტის დაწერას, მარა კითხვა მაინც გადაუჭრელი რჩება. არც არის დიდი იმედები მისი სასურველათ მოგვარებისა და ეს არც გასაკვირია. დღეს მთელი ევროპა დამშეულია. მას არამც თუ სხვისი დახმარება თავის გამოკვებაც უძნელდება და ისიც ტომრით ხელში ერთი ქვეყნიდან მეორეში დაეძებს საჭირო სურსათს. ქვეყნის გამომკვები ამ ჟამად ამერიკა და არგენტინა შეიქნა. მარა აქაც არ მოიპოვება იმდენი, რომ ყველა დამშეული ქვეყნების ტომრები აავსოს. რუსეთი—ეს პურის ბეღელი, უკვე ამოიშალა სიიდან. ოფლის ნაცვლათ იქაურ ნოყიერ მიწებს სამოქალაქო ომის მიერ დაღვრილი სისხლი აპოხიერებს. გუთნის ნაცვლად ზარბაზნები სერავენ იქაურ ველებს და ასე სხვისი მარჩენალი თვით შიმშილობს და ლუკმა პურის ძიებაში სიკვდილს ებრძვის.

ასეთ პირობებში რა თქმა უნდა შეუძლებელია ფიქრი იმაზე, რომ საკმარისი პური გვექნება. მიუხედავათ ამისა, მაინც გვაქვს იმედი, რომ ცოტა რამ გაკეთდება და ჩვენი ხალხი შიმშილისაგან დაღუპვას გადარჩება. მაგრამ ამისათვის საჭიროა ერთი მხრით ყოველივე ზომების მიღება სურსათის შესაძენათ, ხოლო მეორე მხრით—დაზოგვა და მომჭირნეობა. სამწუხაროთ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევეჩვიეთ ასეთ მომჭირნეობას. ძველებური, თავადური ხელ გაშლილობა და ბედოვლათობა ჯერ კიდევ ძლიერია ჩვენში. არავინ ფიქრობს და გრძნობს, რომ მის მიერ ზედმეტად დახარჯული აკლდება და ამშევს მეორეს. და სანამ ეს არ იქნება შეგნებული, მანამ ძნელია ლაპარაკი რაიმე ეკონომიაზე. ევროპის დამშეულმა ქვეყნებმა ასეთ ეკონომიას სერიოზული ყურადღება მიაქციეს და კიდევაც მიზანს აღწიეს. ერთი მხრივ სახელმწიფოს რეგლამენტაცია, მეორეს მხრით თვით მოქალაქეთა შეგნება საგრძნობლათ ანელებს სასურსათო კრიზისს და ასე დღიური ცხოვრება უფრო ადვილი ასატანი ხდება. ჩვენი ხალხი კი, როგორც ვსთქვით, ჯერ კიდევ ფეოდალობას არ გასცილებია ამ სფეროში. ამიტომ მთავრობის ყოველგვარი ზომები ამ მხრით უშედეგოთ რჩება. და ასე იქნება მანამ, სანამ თვით მოქალაქე არ შეეჩვევა დაზოგვას და მომჭირნეობას. თუ ოდესმე ყოფილა საჭირო ანგარიშიანობა და დაზოგვა—ეს საჭიროა დღეს. ზედმეტი და უმიზნო წვეთი აკლდება იმ მდინარეს, რომელიც კვებავს და ასაზრდოებს ყველას. დღეს არ შეიძლება იყოს უმძიმესი და უდიდესი დანაშაული, ვინემ ძველებური უდარდელობა და ფლანგვა. და თუ ამას შეიგნებს ყველა, ჩვენი მდგომარეობა არც ისე კრიტიკული იქნება. იმ ზომებთან, რომელიც მიღებულია სურსათის შესაძენათ თუ ეს შეგნებაც იქნება—თავის გატანა არც ისე გასაჭირო იქნება.

მარა ასე იქნება წელს. გაისათ? აი საკითხი, რომელიც ითხოვს დიდ ყურადღებას და ფართე წინასწარ თადარიგს. არ შეიძლება მუდამ სხვისი შემყურე ვიყოთ და მუდამ სხვის კეთილ განწყობილებაზე ვამყარებდეთ ჩვენი ხალხის არსებობის საკითხს. მართალია, ჩვენი ქვეყნის მოსავალი არ იქნება სავსებით საკმარისი, მარა თუ კი შევძლით ამოწურვა ყველა ჩვენი შინაური შესაძლებლობის, მაშინ არც გარეშე დახმარება იქნება დიდათ საძნელო. ამ თადარიგს უკვე შესდგომია მიწათ-მოქმედების სამინისტრო და ჩვენი სურვილია რაც შეიძლება ფართეთ და მტკიცეთ იქნას ის ცხოვრებაში გატარებული.

ეს თადარიგი შეეხება თავისუფალი მიწების იძულებითი დათესვას. სამინისტროს დაუდგენია: გადაცეს თავისუფალი საფონდო მიწები დასამუშავებლათ კერძო პირებს. მიღებულ იქნას ზომები, რომ გლეხების და კერძო პირების მიწები, თუ მეპატრონენი ვერ შესძლებენ დამუშავებას—გადაეცეს იმათ, ვინც ამას შესძლებს. მიაწოდოს სათესლე, სადაც საჭირო იქნება დიდი ნაკვეთების დასამუშავებლათ შეადგინონ არტელები და სხ. ყოველივე ამის ცხოვრებაში გატარება ევალება სამაზრო და სათემო ერობებს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ერობები მთელი თავის ენერგიით შეუდგებიან ამ გეგმის ცხოვრებაში გატარებას და მათის მეცადინეობით არ დარჩება დაუთესელი და დაუმუშავებელი არც ერთი ადლი მიწა. ამაზე უფრო დიდი და საპასუხისმგებლო საქმე არ აქვთ და არც

დღეს

ფინეთის, ბალტიის სახელმწიფოების და პოლონეთის კონფერენცია შესდგება ჰელსინგფორსში 15 იანვარს. კონფერენციის მიზანია ბოლშევიკების წინააღმდეგ შეერთებული ძალებით ბრძოლა.

ფრანგული პრესა უკმაყოფილოა იაპონია—ამერიკის შეთანხმებით, ვინაიდან ევროპამ და ამერიკამ ომს დიდი მსხვერპლი შესწირეს, გამდიდრდა კი—იაპონიაო.

გერმანიაში ზოგიერთი სახელმწიფოები გაერთიანების წინააღმდეგნი არიან. სამხრეთის სახელმწიფოები ფედერაციას იცავენ.

ნიკოლაევში 200 ბოლშევიკ—ანარქისტი დაატუსაღეს. შედგენილია გეგმა ქალაქებიდან არა სასურველი ელემენტების გაძევებისა.

ბოლშევიკების ცნობით საბჭოთა ჯარი ცარიცინში შევიდა. მოხალისეთა ჯარი სად. ტიხორეცკაიასკენ იხევს.

შეიძლება ჰქონდეს დღეს ჩვენ ერობებს. არ უნდა დაგვაფრთხოს სიტყვა იძულებითმა. სადაც მეპატრონენი არ მოისურვებენ, ან ვერ შესძლებენ—იქ უეჭველათ იძულებითი ზომას უნდა ჰქონდეს ადგილი. ყველა გამოსადეგი მიწები, რაც უნდა მცირე იყოს ის დაუყონებლივ ცნობაში უნდა იქნას მოყვანილი და მისი დასამუშავებლათ განაწილებაც სასწრაფოთ უნდა მოხდეს.

შრომა და მომჭირნეობა—აი ლოზუნგი, რომელიც სავალდებულოა ყველასთვის და თუ ვინმე არ სცნობს მას ახეთად უნდა ვაიძულოთ იცნოს. ყველა სამუშაოზე, თავის ადგილზე. საერთო ენერგია, საერთო შრომით საერთო საქმეების მოგვარება. ეს უნდა შევიგნოთ ყველამ, ეს უნდა შევაგნებინოთ ყველას, რადგან ხსნა და გამარჯვება მხოლოდ ამაშია...

განი.

დამფუძნებელი კრება

31 დეკემბრის სხდომა.

ნოე ჟორდანიას საპასუხო სიტყვა.

მოქალაქენო, იმ შენიშვნებში, რომელითაც ჩემს წინააღმდეგ გამოილაშქრეს ზოგიერთმა ორატორებმა, მე ავირჩიე რამოდენიმე მუხლი, ისეთი მუხლები, რომელთაც აქვთ საერთოდ პოლიტიკური მნიშვნელობა და მინდა ამ მუხლების შესახებ ვილაპარაკო. ეკონომიურ კითხვებზე აქ უკვე ილაპარაკა ბ. ჟვანიამ და კიდევ წინათ მეორე საკითხზე ილაპარაკა მომარაგების მინისტრის ამხანაგმა.

აქ უპირველეს ყოვლისა მიაქციეს ყურადღება თვით ამ კაბინეტის გადაჯგუფებას, ამ მინისტრების შეფასებას და სთქვეს: აქ რაღაცა ამბავი, რაღაცა საიდუმლოებაა, თორემ რატომ ეხლა მოაგონდათ, რომ სამი კაცი ახლა დანიშნეს მინისტრებათო. მე მგონია, რომ საიდუმლო არაფერი არ არის იმისთვის, ვინც საერთოთ ადევნებს თვალყურს პოლიტიკურ ურთიერთობას და ანგარიშს უწევს ცხოვრებას. ჩვენ არასოდეს არ გვქონია პრინციპათ, რომ 5, 10 თუ ოცი ყოფილიყო მინისტრი. ასეთი პრინციპით ჩვენ არასოდეს არ ვხელმძღვანელობთ, ეს არის კითხვა მიზანშეწონილების, პრაქტიკული მოთხოვნილებისა და არა პრინციპისა. თქვენ იცით, რომ ლოიდ-ჯორჯმა 12 მინისტრის მაგივრათ აიყვანა 20 მინისტრი. ეს იქ მოულოდნელი არ ყოფილა და არ წაურთმევიათ ლოიდ-ჯორჯისათვის უფლებები, რომ მას 12 მინისტრის მაგივრათ 20 აეყვანა. ამის გამო მის წინააღმდეგ არც ერთ ჯგუფს, პარტიას, არაფერი უთქვამს. ეს იქნებოდა სადაო მაშინ, რომ ამით იცვლებოდეს პოლიტიკა. აქ მართლა შეიცვალა თუ არა ჩვენი პოლიტიკა? აქ ზოგიერთმა ორატორებმა დიდი პოლიტიკური დებატები გამართეს, თითქოს ახალი კაბინეტი გამოცხადდა და უნდა გააკეთოს რაღაც ახალი რამ. ჩვენი პოლიტიკა სრულებით არ შეცვლილა, მაშასადამე, პრინციპი რჩება ის, რაც იცით და გვაქვს. მხოლოდ ეს მინისტრების აყვანა და კაბინეტის ცვლილება და გადაჯგუფება არის პრაქტიკული კითხვა და პრაქტიკული საჭიროებისაგან გამომდინარეობს. აქ ბ-ნი ვეშაპელი შეეხო ამ კითხვას და მოიხსენია მინისტრის პირადობა. უნდა ვსთქვათ აქ ყველას საგულისხმიეროთ, რომ ამ ტრიბუნიდან არ უნდა იყოს სხვისი სიტყვა დამახინჯებული. ეს შეიძლება საგაზეთო პოლემიკაში, მაგრამ აქ კი დაუშვებელია. აქ იწერება ყოველი სიტყვა და ამიტომ ყველას, ვისაც სურს ჩემი სიტყვის შესახებ ლაპარაკი, შეუძლია მოითხოვოს სტენოგრამა და წაიკითხოს. აქ მე არ მითქვამს, რომ სამხედრო მინისტრმა ყველაფერი გააკეთა-მეთქი, მე ვთქვი, რომ საფუძველი ჩაყრილია და ამ საფუძველზე უნდა აშენდეს მაგარი, მტკიცე და მამაცი ჯარი, ასე რომ ახალ მინისტრს საპატიო საქმე და დიდი ალაგი აბარია და მაშასადამე, მის მხნეობაზეა დამოკიდებული ჩვენი იმედები. ჩვენ ვიწვევთ მინისტრს და ვიცით, რომ ის ამ მოვალეობას აასრულებს.

არც ვინ მითქვამს, რომ ახალი მინისტრი იმისთვის არის მოწვეული, რომ მან კოდიფიკაცია მოახდინოს. მე არა ვარ იურისტი, მაგრამ ვიცი მაინც, რომ კოდიფიკაცია ნიშნავს არსებული კანონების აწყობას. აქ კი ლაპარაკი არის ახალ სამოქალაქო კანონების გამოცემაზე, რომელიც შეეფერება ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ამ სამოქალაქო კანონებშია საქმე. ვინც იცის ცხოვრების ამბავი, ვინც შორიდან მაინც უყურებს ძირითად კითხვებს, სწორედ სამოქალაქო დებულება არის ძირითადი და ამ დიდი საჭიროების საქმისათვის მოწვეული მინისტრი არსენიძე არის თავის ალაგას.

აქ ერთმა ორატორმა, შენგელაიამ, დააყენა კითხვა ფორმალურათ; აქვს თუ არა მთავრობის თავმჯდომარეს უფლება, რომ თავისი უფლებით მოახდინოს ეს მინისტრების გადაჯგუფება. უნდა ვსთქვათ, რომ ამ მხრით, ფორმალურათ, სწორედ რომ ვერაფერ სანუგეშო მდგომარეობაში არის შენგელაია. არავითარი ფორმა, არავითარი კანონი სამინისტროს და მინისტრების შესახებ არ არსებობს (ლ. შენგელაია: მით უარესი?) ეს სხვა საქმე არის, მაგრამ მე ვამბობ იმას, რაც არის. (შენგელაია: ფორმულა?) ფორმულაში, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ მიიღო, სწერია, რომ თავმჯდომარემ მთავრობა შეადგინოსო, და არა ის, თუ 5 ან 10 მინისტრი მოიწვიოსო და ვინაიდან, მე ვთქვი, რომ არავითარი ფორმა გარდა იმისა, რაც შემოვიღეთ, არ არსებობს და ამას მოგახსენებთ, მიიღებთ ამას თუ არა, ეს დამფუძნებელი კრების საქმეა. მაშასადამე, არ არის რაიმე ფორმალური დარღვევა. უნდა გითხრათ, რომ მთავრობისათვის, მინისტრებისათვის არა გვაქვს არავითარი დებულება, ის ძველი დებულება, რომელიც არსებობს რუსეთში და რომლითაც სარგებლობა შეიძლებოდა, ჩვენში დიდი ხანია გაუქმებულია. პირველი ტომი კანონებისა გაუქმებულია და არავითარი ტომი არა გვაქვს, და თავის თავად ცხადია ვლაპარაკობთ იმაზე რაც მიიღო დამფუძნებელმა კრებამ, ეს არის ჩვენი კანონი, ჩვენი ტომი. უეჭველია, როდესაც შემდეგ იქნება კონსტიტუცია მიღებული, რასაკვირველია, ისიც იქნება, თუ რამდენი პირისაგან შესდგებოდეს მთავრობა და რამდენი სამინისტროები იქნება, მაგრამ დღეს არ არის. ამიტომ ბ. შენგელაიას შეკითხვა არის სრულიად უბრალო. აი, სწორედ ის რეზოლუცია, რომელიც იქნება დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული, აი ეს არის ჩვენი ფორმალური მხარე, ეს არის ჩვენი კანონი, და მაშასადამე, სხვა კანონი არც გვქონია და არც გვაქვს (ლ. შენგელაია: ფორმულაში ნათქვამი იყო—მთავრობის შედგენა მიენდოსო) ბ. შენგელაია მე ეს მოგახსენეთ და სწორეთ მაკვირვებს, რომ არ დაგიგდიათ ყური დიახ, მთავრობის თავმჯდომარემ უნდა მთავრობა შეადგინოსო, იყო ნათქვამი ფორმულაში და მე კიდევაც შევადგინე მთავრობა. რასაკვირველია სამინისტროებიც მქონდა და მინისტრებიც მყავდა.

აქ სამინისტროს დაარსების დასაბუთება ზოგიერთებმა დამიწუნეს. აქ ბ. ღლონტმა სთქვა, რომ რა ახალი ამბავი არის, სპეკულიატიური კანონის არსებობაო ეს დიდი ხანია არსებობს, ძველი ამბავია და აქამდე სად იყავით, დღემდე უნდა დაგვეარსებინათო. უნდა ვსთქვა, რომ მართალია, არის ამნაირი პოლიტიკა, როცა ამბობენ, რომ ეს ყველაფერი წინათ ყოფილაო. აი „ურიელ აკოსტაში" ერთი მოხუცი იტყვის ხოლმე—ეს ყოფილა დიდი ხანია, ჩვენ ვამბობთ, რომ რაც დღეს არის, ეს არის ცხოვრების მოთხოვნილებისა ამას ცხოვრება აყენებს დღიურ წესრიგში და ამას უნდა ვუწიოთ ანგარიში მე ვამბობ: დღიურ წესრიგში ეხლა სდგას ეს კითხვა მთელი თავისი სიმწვავით, როგორც არ იდგა არც რევოლუციის პირველ დღეებში, არც ომიანობის დროს. თქვენ იცით, რომ ომიანობის დროს არ ყოფილა ის ეკონომიური სიმწვავე, როგორც არის დღეს. მაშინ პური შაური ღირდა, ახლა კი 10 მან. და მეტიც საქმე იმაშია, რომ ომიანობის დროს იყო ნამუშევარი ბევრი თაობისა, ეს იყო დაგროვილი და ამას 10—20 მილიონი სჭამდა და სვამდა. და შემდეგ, როცა ეს გამოილია და არაფერი არ გაკეთებულა გარდა ომისა, და ამ ჯარისკაცებს არც მოუმკიათ და არც უთესიათ, ეხლა ყველა დაგროვილი გამოილია. ეს ეკონომიური სიმწვავე ეხლა იჩენს თავს იმიტომ, რომ ეხლა არის დალეული წინანდელი თაობის მიერ დაგროვილი სიმდიდრე და ამიტომ თავის-თავათ ცხადია, რომ იმ დროს არ ყოფილა ეს სიმწვავე, რომ ჩვენ სამინისტრო დაგვეარსებინა. (ღლონტი, წინეთ არ არსებობდა?) მართალია, მომარაგების სამინისტრო იყო დაარსებული კერენსკის დროს, მაგრამ ეს იყო გამოწვეული იმით რომ ჯარისთვის მიგვეწოდებინა ის პური, რომელიც ყველგან იყიდებოდა და რომ ჯარს უკეთ მიეწოდებოდა ეს პური, იყო დაარსებული ეს სამინისტრო, ამჟამად კი სპეკულიატიურ კაპიტალს მიეცა ფართო ასპარეზი და ამ ასპარეზზე ჩვენც უნდა გამოვიდეთ და ამ კაპიტალს უნდა შევებრძოლოთ. აქ ამბობდენ, რომ რა შუაშია აქ შრომის სამინისტროვო, ის თავისთვის უნდა იყოსო, ეს რასაკვირველია, არ არის პრინციპიალური კითხვა, ეს არის, ასე ვსთქვათ ერთგვარი პრაქტიკული მოსაზრება: სად სჯობდა, რომელ სამინისტროში უფრო მოხერხდებოდა მომარაგების სამინისტროს მოქცევა. და ვინაიდან, მე ვთქვი, რომ შრომის პოლიტიკა არ შეიძლება ისე გავატაროთ როგორც წინათ, როდესაც უფრო იაფი იყო სასმელ-საჭმელი, შრომის პოლიტიკას უნდა ვამყარებდეთ არა ცარიელ სიტყვებზე, არამედ ხალხს უნდა მოუტანოთ ის, რაც მას სჭირია. თორემ რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ ლამაზი სიტყვები და უთხრათ: „არ ვარგა გაფიცვები, ერთი და მეორე, ამით, თუ არაფერს მოუტანთ, ცარიელი სიტყვები ვერავის დააკმაყოფილებს. ჯერ კიდევ ამ მომარაგების სამინისტროს დაარსებამდე 50 მილიონი მანეთი გამოვყავით და მივეცით შრომის სამინისტროს და აი ამ ფულით მუშებისათვის მას უნდა ეყიდა საჭირო სურსათ-სანოვაგე ისე, რომ სანამ ჩვენ სამინისტროს დავაარსებდით უკვე ავილეთ ეს ალღო, შრომის სამინისტრომ უკვე დაიწყო მოქმედება, ჩვენ ეს ფაქტი დავადასტურეთ და მას მივეცით ერთნაირი იურიდიული აზრი, სანქცია. (ისმის ხმა, ცუდი აზრია) ჩვენ ვსჯით იმის დამიხედვით, თუ რანაირ პირობებში გვაყენებს ცხოვრება და რანაირ მოთხოვნილებებს გვიყენებს. თქვენ გვითხარით, შეეფერება თუ არა ეს მოთხოვნილება იმ პასუხს, რომელიც თქვენ მოგახსენეთ. გარდა ამისა, უნდა გითხრათ, რომ თუმცა მინისტრი ვარ, მაგრამ ძალიან დიდი წარმოდგენა არა მაქვს იმ ზე, როცა სურსათს ანაწილებენ ჩინოვნიკები. აი სწორედ შრომის სამინისტროში არიან არა ჩინოვნიკები, არამედ საუკეთესო წარმომადგენლები, ისეთ კოოპერატორებისა, რომელნიც მუშათა კოოპერატივებში მუშაობენ და იმათ ხელში არის ეს საქმე. მაშასადამე, აქ არის პრაქტიკული გამოცდილება...

(ღლონტი: ალორძინებაში რა ხდება?) ეს მე არ ვიცი. გუშინ და დღეს იმიტომ ვართ აქ, რომ სამინისტროს ამბები ვიცით, და უნდა მოგახსენოთ, რომ „ალორძინებაში" ცუდი ამბავი მოხდა, ეს სამინისტროს არ გაეპარება.

აქ ჩვენ გვეთხრეს, რომ რა პოლიტიკაა ის, როცა ერობას, თემს, ქალაქს სუყველას თავისი პოლიტიკა აქვს. მართალი ვსთქვათ, ეს კრიტიკა, შენიშვნა რამოდენიმეთ მართალია. იმას ჩვენც ვებრძვით, რომ თვითეულ ერობას არ ქონდეს საბაჟოები გაკეთებული და ძველებურ ფეოდალური დროის მსგავსათ არ ჰქონდეს საბაჟოები. მაგრამ თქვენ არ მიგვითითებთ იმ საშუალებებზე, რომლითაც უნდა შევებრძოლოთ. მაგ. როცა თქვენ აირჩიეთ მთავრობის თავმჯდომარე, მიეცით მას რაიმე უფლება? არავითარი ძალა-უფლება მისთვის არ მიგინიჭებიათ. მთავრობის თავმჯდომარისათვის და მინისტრებისათვის არ მიგიციათ ის უფლებები, რომ ამ პირებმა ერთი მოვლენის წინააღმდეგ მიიღონ რაიმე ზომები. (შენგელაია: სასამართლო?) თქვენ იცით, რომ სანამ სასამართლოში საქმე გათავდება, მანამ ბევრი რამე დაინგრევა. სამი ინსტანცია არის და სანამ ამ ინსტანციებს გაივლიდეს, ეს კითხვა მოწონებული იქნება, მანამ საქმე ან დაინგრევა, ან აშენდება. (ა. ასათიანი: განა თქვენ არ ბრძანებთ, რომ საქართველო ერთად ერთი ქვეყანაა, სადაც მთავრობას მოხელეები არ ჰყავსო) დიახ, მოხელეები არ ჰყავს ცენტრალურ მთავრობას. გთხოვთ, ნუ შეაკეთებთ იმას, რაც მე ვსთქვი. მე ვსთქვი, რომ ცენტრალურ მთავრობას პერიფერიებში თავისი მოხელეები არ ჰყავსო, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ვინმეს იქ არ ჰყავდეს მოხელეები. იქ არიან ადგილობრივი თვითმართველობის მოხელეები. ხოლო დამოკიდებულება ერობათა და ცენტრალურ მთავრობის შორის ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. ეს დიდი კითხვა არის, მაგრამ, სანამ ეს ჩამოყალიბდებოდეს, მანამ ჩვენ არა გვაქვს ძალა, რომ მოხელეთა უკანონობას შევებრძოლოთ; მე პარტიულ ყრილობაზედაც ვსთქვი რომ ჩვენში მეტად ძნელი გახდა დაცვა კანონიერებისა, იმიტომ რომ არავის სურს მოთავსდეს კანონის ფარგლებში, არამც თუ მოხელეს, არამედ—უბრალო მოქალაქესაც, იმას უნდა აღზრდა, უნდა დისციპლინა, ამისთვის საჭირო არის მაგარი ხელი და ეს ხელი თუ გვექნება, მაშინ ჩვენ მოვახერხებთ კანონიერების დაცვას.

ყოველ შემთხვევაში, როცა აფასებთ მთავრობის პოლიტიკას, უნდა შეაფასოთ ის არა განყენებულათ, არამედ—იმის ნაყოფის და გვარად. მე შემიძლია ვსთქვა ერთი რამ: რომ ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც არის ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოებში, გაცილებით უარესია, ვინემ ჩვენი სახელმწიფოსი. იქ, სადაც პური ყოველთვის იაფი იყო, განიცადეს საშინელი სიძვირე, მაგ. როსტოვი, იქაც უფრო ძვირია პური ვინემ ჩვენში. აილეთ თუ გნებავთ ბათუმი და ბაქო, იქაც უფრო ძვირია, ვინემ აქ. შედარებით სხვა სახელმწიფოებთან, ჩვენ რაღაცას ვახერხებთ და ეს უნდა უკვირდეს ადამიანს. კაცო, ეს რა ხდება, რომ იმისდა მიუხედავათ, რომ იქ ფული არის, აქ კი ბონი და ცხოვრება იქ უფრო ძვირია, ვიდრე აქ. (ღლონტი: ვინ გააკეთა ეს? სპ. კედია: რაშია სეკრეტი?) ეს სასწაული არ არის. ეს არის სალი პოლიტიკის ნაყოფი. სალ პოლიტიკას პურის მოტანაც შეუძლია. და იმ პოლიტიკას რომ გაჰყვეთ, რომელზედაც შენგელაია ლაპარაკობდა, მაშინ აქ პური კი არა, ქვა ქვაზე არ დარჩება. აი, ბატონებო, თქვენ გახსოვთ რა ილაპარაკა შენგელაიამ: „ჩვენში არც თავისუფლება, არც არაფერი, კაპიტალისტური პოლიტიკის მომხრენი ვართ და სხვ." არ ვიცი, თუ ჩვენში არ არის თავისუფლება, მაშინ სად არის? უეჭველია არ არის თავისუფლება იმათთვის, ვინც ანგრევს რკინის გზებს, ეცემა ჩვენს გვარდიას, კომისარიატს და სხვა. ვინც აწყობს ასეთ შეიარაღებულ გამოსვლებს. თუ ბ. შენგელაიას სურს ამათ მივცეთ თავისუფლება, მაშინ თავისუფლება უნდა მივსცეთ იმათაც, ვინც ქურდობს და კაცს კლავს. ეს ნიშნავს თავისუფლებას? ასეთი თავისუფლება ჩვენ არ გვწამს და ამას რამოდენიმეთ აქვს გავლენა იმაზე, რომ ჩვენში შედარებით პური იაფია.

აქ სთქვეს: არც მარჯვნივ, არც მარცხნივ—ეს ნიშნავს ცოტა რევოლუციისაკენ, ცოტა ბურჟუაზიისაკენო. მე ვიცი ერთი პარტია, რომელიც ფიქრობდა: ცოტა რევოლუციისაკენ, ცოტა რეაქციისაკენო, და ამით დაიქცა რუსეთი. ეს არის რუსეთის სოც.-რევოლუციონერთა პარტია; (გობეჩია: ჩხეიძე და წერეთელი ხომ იქ იყვნენ?) იყვნენ, მაგრამ იმათ გვერდით იდგნენ ესერები, რომელნიც იგონებდენ, რომ ყველა ქალაქებში ესერები ვართო, მხოლოდ ესერები ნიშნავს ამას: ცოტა რევოლუციისაკენ, ცოტა რეაქციისაკენ და ამან დაანგრია რუსეთი. ჩვენ ვიდექით და ვდგევართ რევოლუციის ნიადაგზე და თქვენ დამისახელეთ რომელიმე რევოლუციონური მთავრობა და ან პარტია, რომელმაც მოახერხა გატარება თავის ქვეყანაში ისეთი რეფორმების, რომელიც აქ მოვახდინეთ. დამისახელეთ ამისთანა მთავრობა, და მაშინ თქვენ მართალნი იქნებით, მაგრამ თქვენ ამისთანა მაგალითს ვერ მოიყვანთ. (სპ. კედია: რევოლუცია ხომ ფოსტით მოვიღეთ?) ფოსტით მიღებულსაც ბ. სპირიდონ, მოვლა უნდა. აი მე ვამბობ, რომ შენგელაიას პოლიტიკას ჩვენ ვერ ვაწარმოებთ და ვინაიდან ამ პოლიტიკას ვერ ვაწარმოებთ, ამიტომ რასაკვირველია, არის ის, რომ სხვათა შორის აქ ცხოვრება უფრო იაფი არის ვიდრე იმ მოსკოვში, საითკენაც შენგელაია იყურება. (გობეჩია: везетъ, везетъ). ბ. везетъ, везетъ, მაგრამ ჰქონდეს ხომ ჯობს! (სპ. კედია: сегодня везетъ, завтра везетъ...)

ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა გახლავთ შემდეგი: ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ევროპიდან ვერაფერს დიდს ვერ მივიღებთ, შეიძლება სრულებითაც არაფერი მივიღოთ (შენგელაია: აზიიდან?) აზიაში ასეთივე ეყურება და იმას კითხეთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისე უნდა მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, რომ მიწა-წყალმა მეტი ნაყოფი მოგვიტანოს. ეს არის ჩვენი უმთავრესი მიზანი, რომ ჩვენში ყველა მიწა ყოველნაირი საშუალებით იქნეს გამოყენებული, რომ ჩვენ ისე თუ ისე დავაგროვოთ და დავამზადოთ ის სურსათი, რომელიც ჩვენს ხალხს ესაჭიროება. სწორეთ ეს არის ერთნაირი პრაქტიკული დღევანდელი მიზანი და ჩვენ თუ ამას მივაქციეთ ყურადღება, და თუ ამისთვის ერთგვარი თანხაც გავიღეთ, მე მგონია, ამ მიზანს მივაღწევთ. აქ ორი მაზრა ისეთია, რომ იქ პური დავთესოთ, მარტო ის პური ეყოფა მთელს საქართველოს. (ვეშაპელი: ამ ზამთრისთვის?) ამ ზამთრისათვის არის ის, რომ დღეს გამოვითხოვეთ 250 მილიონი მან. და ამაზე არის აშენებული ის გეგმა, რომელიც შემუშავებული აქვს შრომის სამინისტროს. თავის თავად ცხადია, რომ თუ ისეთი იდეალი დავისახეთ, როგორც ასათიანს ქონია—სპარტეთი, მაშინ უნდა ვქნათ ის, რაც იქ არის: პარლამენტი დავითხოვოთ, რკინის გზები მოვშალოთ, ტელეგრაფი არ იყოს, ტელეფონი მოვშალოთ, ე. ი. ჩავვარდეთ ისეთ მდგომარეობაში, რომელშიაც ვიყავით 100 წლის წინათ და შეიძლება ერთი ნატეხი პურის, ან მჭადის, ან ნესვით და საზამთროთ ვირჩინოთ თავი. მაგრამ ჩვენ გვაქვს ერთნაირი კულტურა და მოთხოვნილებები და ვინაიდან ჩვენ ვართ კულტურულ ხალხთა შორის, არ გვინდა უკან დაბრუნება! (კედია: არც სპარსეთის ბრინჯი გვინდა?) ჩვენ სპარსეთის ბრინჯისათვის ხელს ვერ ავიღებთ ვერც რკინის გზებზე და ვერც ჩვენს კულტურაზე.

აი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა არის ის, რომ იმ კულტურულ და ცივილიზაციის დონეზე შევაჩეროთ, რომელზედაც დღეს ვართ: თუ წინ არ წავედით, უკან მაინც არ უნდა წავიდეთ. აი ამისთვის არის საჭირო მთელი მომარაგება და ამაზე არის, ბატონებო, აგებული მთელი ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური წყობილება, რომ ამ კულტურულ და ცივილიზაციის გზიდან არ გადავიდეთ. შეიძლება ვინმეს ეჩქარებოდეს, მაგრამ ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ აჩქარებული კვიცი ხრამში გადავარდებაო. (ვეშაპელი: დიდას რომ გაუსწრებს, არა)? დიახ, (ვეშაპელი: დიდა თქვენა ხართ?) ამიტომ ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს დღევანდელი მთავრობა, შეიძლება არ იყოს აჩქარებული პოლიტიკა, მაგრამ არც დაყოვნებით, არც აჩქარებით. მაგონდება ერთი ინგლისელის თქმულება: ნელა, მაგრამ მალე... ნელა, მაგრამ არა უკან, არამედ სადაც დავდგით ფეხი, უნდა წავიდეთ წინ, და თუ წინ არა, უკან მაინც არ უნდა წავიდეთ. ასეთი სიარულით მივალთ იმ საფეხურამდე, რომელსაც ჰქვიან ჩვენი საბოლოო მიზანი. (ასათიანი: სოციალიზმი!) დიახ, ასეთი სიარულით, მაგრამ ისე აჩქარებით, როგორც სურს ზოგიერთებს, ვერ მივალთ ამ მიზნამდე. და ის რევოლუცია, რომელზედაც შენგელაია ამბობდა, პერმანენტური რევოლუციიდან, გადაიქცევა პერმანენტულ სიმშილათ. სოციალიზმი კი შიმშილს არ ნიშნავს. თქვენ თუ გგონიათ, რომ ბოლშევიზმი სოციალიზმია, მაშინ სცდებით. ეს სრულებით არ არის სოციალიზმი. სოციალიზმი ის არის, რომ არ იქნება გაჭირვება (ვინ შექმნის ამ სიმდიდრეს, ბურჟუაზია?) ხალხმა უნდა შექმნას. უნდა ვსთქვათ რომ ბურჟუაზია ვერ შექმნის, მაგრამ თუ მარქსიზმი იცით, უნდა იცოდეთ, რომ მუშა ხალხი არის მემკვიდრე ბურჟუაზიისა.

ამ გზაზე ვდგევართ ჩვენ და არ ვფიქრობთ, რომ ჩვენში სხვა რომელიმე კლასი, გარდა მუშათა კლასისა და დემოკრატიულათ განწყობილი გლეხობისა, შექმნას ან ეკონომიური სიმდიდრე. მე ვამბობ, რომ ეს გზა არის ის გზა, რომელიც არჩეული აქვს დემოკრატიას—რეფორმების გზა და ასეთი სიარულით წინ მივდივართ, ეს გზა არის არსებითად მისაღები ნაყოფიერი გზა. ამას მისდევს მთელი ჩვენი დემოკრატია და ამას უნდა მისდევდეს დამფუძნებელი კრებაც. (ხანგრძლივი და მხურვალე ტაში).

რეზოლიუცია.

მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება კაბინეტის რეორგანიზაციის შესახებ, დამფუძნებელი კრება იწონებს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. უცხადებს მას სრულ ნდობას და ადგენს: სანამ კონსტიტუციით იქნებოდეს განსაზღვრული მთავრობის თავმჯდომარის კომპეტენცია, მიენიჭოს მას განსაკუთრებული უფლებანი მართვა-გამგეობისა და კანონიერების დაცვის საქმეში.

არშაკ ზურაბოვი †

სამწუხარო ამბავი მოვიდა სომხეთის რესპუბლიკიდან: პარტახიან სახადისაგან გარდაცვლილა ყოფილი ჩვენი ამხანაგი არშაკ ზურაბოვი. მართალია, იმ მსოფლიო ქარტეხილმა, რომელმაც საშინლად გაართულა პოლიტიკური მდგომარეობა და გააძნელა გზის პოვნა, უკანასკნელ წელს დააშორა არშაკ ზურაბოვი ჩვენს პარტიას და მის მოწინააღმდეგეთა ბანაკშიაც კი მოაქცია, მაგრამ ჩვენ ვერ დავივიწყებთ მის წარსულს და მის ღვაწლს ჩვენის პარტიის წარსულში. ჩვენი პარტიის ისტორიის ფურცლებიდან აღმოუშლელია ის მუშაობა, რომელსაც ეწეოდა არშაკ ზურაბოვი თითქმის მის ჩასახვის დღიდან. არ შეგვიძლიან მადლობით არ მოვიხსენიოთ მისი პროპაგანდა აგიტაცია ოთხმოცდა ათიან წლების ბოლოდან მოყოლებული, მისი სიარული კონსპირატიულ წრეებში, მისი მონაწილეობა კონსპირატიულ პრესაში, ის ტანჯვა, რომელიც ყველა ამისთვის განიცადა მან ჩვენთან ერთად რუსეთის ჟანდარმერიისაგან. არშაკ ზურაბოვის ღვაწლის მნიშვნელობა კიდევ იმ გარემოებით იზრდება, რომ ჩვენ პარტიაში იმ დროს თითზე დაითვლებოდა რიცხვი სომეხ-ამხანაგთა, რომლებიც ერთად-ერთი შემაერთებელი ხიდი იყო ჩვენის პარტიის და სომეხ-დემოკრატიის შუა.

ჩვენმა პარტიამ ფასი დასდო არშაკ ზურაბოვის ღვაწლს: [illegible] დუმაში იგი არჩეულ იქნა დეპუტატათ ქალაქ თბილისიდან. ეს იმ დროის უდიდესი ნდობის გამოცხადება იყო ჩვენი პარტიის მხრივ. და უნდა ვთქვათ, რომ არშაკ ზურაბოვმა ეს ნდობა გაამართლა. მოკლე ხნის მუშაობის დროს სახელმწიფო დუმაში მას მაღლა ეჭირა ჩვენი პარტიის დროშა. ამნაირ მუშაობისთვის სტოლიპინის მთავრობამ მას ყველა ჩვენ ამხანაგებთან—მე-2 დუმის წევრებთან—ერთად მიუსაჯა კატორღა, დიდხანს სტანჯა ციხეებში, სანამ ციმბირში გადასახლების შემდეგ მან არ მოახერხა ევროპაში გაქცევა. 1917 წ. რევოლუციის დაწყების შემდეგ არშაკ ზურაბოვი დაბრუნდა რუსეთში, შემდეგ კავკასიაში და რევოლუციის პირველ წლიწადს ჩვენთან მხარის-მხარ მუშაობდა. სრულიად რუსეთის დამფ. კრების არჩევნების დროს იგი შეტანილი იყო სოც.-დემ. პარტიის სიაში და კიდეც გავიდა დეპუტატათ. ამიერ-კავკასიის სეიმის სოც.-დემ. ფრაქციის წევრათაც იყო.

არშაკ ზურაბოვის დაშორება ჩვენს პარტიასთან დაიწყო მას აქეთ, რაც ჯერ ამიერ-კავკასიამ და შემდეგ საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამავე მიზეზით გამოწვეულმა ჩვენის ორგანიზაციის ცალკე „საქართველოს სოც.-დემ. პარტიათ" გამოყოფამ საბოლოოდ არშაკ ზურაბოვი ოპოზიციაში ჩააყენა ჩვენ მიმართ.

ბევრი მწარე რამ გვსმენია ჩვენ მის მხრით ამ წლის განმავლობაში. ბევრი მწარე რამ ვასმენით ჩვენც მას. მაგრამ დღეს, არშაკ ზურაბოვის გარდაცვალების გაგონებაზე, ჩვენს გონების წინ წამოიდგა არა ეს ერთი მწარე უკანასკნელი წელიწადი, არამედ იმის წინად განვლილი თითქმის 25 წელიწადი, რომლის განმავლობაშიაც არშაკ ზურაბოვი ჩვენთან ხელ-ჩაკიდებული იდგა, ჩვენთან ერთად იტანჯებოდა და ჩვენთან ერთად ხარობდა.

არშაკ ზურაბოვის გარდაცვალების გამო ნოე ჟორდანიამ შემდეგი ტელეფონოგრამა გამოუგზავნა ჩვენს რედაქციას: „ჩვენი ძველი ამხანაგის და თანამებრძოლის არშაკ ზურაბოვის მოულოდნელმა დაკარგვამ ღრმათ დამამწუხრა. მართალია, ბოლო ხანებში ის ჩვენთან არ იყო, მაგრამ მისი 20 წლის თავდადებული მუშაობა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში სამუდამოთ დარჩება ჩვენი მუშათა მოძრაობის ისტორიაში საუკეთესო ფურცლად და მას არ დაივიწყებს დემოკრატია. მშვიდობით ძვირფასო მეგობარო არშაკ".

დეპეშები

(საქართველოს ტელეგრაფის სააგენტო)

5 იანვარი.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. იანვრის 3. სამხ. ცნობა. ნარვის რაიონში მზვერავთა მოქმედება. ქ. დრისის რაიონში მტერმა გადმოლახა მდინარე დასავლეთის დვინა. ზომები მის უკუსაქცევათ მიღებულია. კიევის რაიონში ჩვენ ავიღეთ ქ. ტარაშჩა და დაბა ბოგუსლავი. ეკატერინოსლავის რაიონში ჩვენი ჯარი გამოვიდა მდინარე პლოსკაია-ოსოკოროვკის ხაზზე. ბერდიანსკის მიმართულებით ჩვენ ავიღეთ სადგური მაკარენკო. ცარიცინის რაიონში ჩვენი ჯარი გადავიდა გაყინულ მდ. ვოლგაზე, აიღო ფრანგების ზარბაზნის ქარხანა და ბრძოლით შევიდა ქ. ცარიცინში. თავზარ დაცემული მტერი გარბის რკინის გზის გასწვრივ სად. ტიხორეცკაიასკენ. დაწვრილებითი ცნობები ცარიცინის აღებისა და იქ ხელში ჩავარდნილ სიმდიდრის შესახებ ჯერ არ მოსულა. სემიპალატინსკის მიმართულებით ჩვენი ჯარის წინსვლა გრძელდება. ბიისკის რაიონში, მდ. კატუნზე წითელი პარტიზანები იბრძვიან უკუქცეულ კოლჩაკის ჯარს. კუზნეცკის რაიონში ჩვენი ჯარი მინუსინის რკინის გზას უახლოვდება. მარინსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი ალტაისკაია-კრასნოიარსკის ხაზზე იმყოფება.

მოსკოვი, იან. 3. ცენტრ. კომიტეტის „უწყებათა" და გაზ. „პრავდის" მეთაურები დღეს ეხება ესტონიის რესპუბლიკასთან დადებულ ხელშეკრულებას დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ. „უწყებებში" სწერია: „ესტონიასთან სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებით საბჭოთა რუსეთმა დაამტკიცა თავისი მშვიდობის მოყვარეობა და სურვილი კეთილი დამოკიდებულების აღდგენისა ყველა ხალხთან. ძლიერმა და უზარმაზარმა რუსეთმა, რომელმაც შესძლო განადგურება ისეთი მტრისა, როგორც იყო დენიკინ კოლჩაკი, დაამტკიცა, რომ მას გულწრფელად სურს ბოლო მოუღოს ომს და დაამყაროს ყველა ეროვნებებთან მშვიდობიანი ნორმალური განწყობილება". გაზ. „პრავდა" სწერს: „დროებითი ზავი ესტონიის რესპუბლიკასთან ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ის ნათლად გვიჩვენებს რუსეთის დასავლეთის [illegible]. რაც [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ენერგიულად დაამარცხებს ჩვენი წითელი არმია, რაც უფრო ადრე გადავყრით ზღვაში დენიკინის ჯარს, მით უფრო ადრე უნდა მოველოდეთ ჩვენ მიერ მოთხოვილ ზავზე ევროპის იმპერიალიზმის მოკლე პასუხს: „თანახმა ვარ".

იურიევი. იან. 3. ესტონიის ბანკის შენობაში 29 დეკემბერს, საჯარო ვაჭრობით გაიყიდა 10 მილიონის ბონები ჩრდილო-დასავლეთის მთავრობისა, რომელიც ამ ბანკში ბეთ ინახებოდა.

ფრანგული პრესის ცნობები.

„ბერლინერ ტაგებლატის" ცნობით 4 იანვარს ჰელსინგფორსში შესდგება კონფერენცია ბალტიის სახელმწიფოებისა: ფინეთის, ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის. ამ კონფერენციაზე ინგლისი ოფიციოზურად წარმოდგენილი იქნება მისი ბალტიის ესკადრის მეზღვაურ აფიცრების სახით. კონფერენცია გაარჩევს საბჭოთა რუსეთთან დროებით ზავის დადების საკითხს და ჩრდილოეთის ზღვასა და ყინულიან ოკეანის შორის მდებარე ყველა სახელმწიფოთა შორის თავდაცვითი კავშირის შეკვრის საკითხს.

ვენიდან იუწყებიან: უნახშირობისაგან გამოწვეული რკინის გზით მოძრაობის შეჩერება, რომელიც 23 დეკემბერს მოხდა, შესაძლებელია იანვრის პირველ რიცხვებამდე გაგრძელდეს. დიდი თოვლის გამო ანტანტის მატარებლებიც კი ვეღარ დადის და ვენა ყველა მხარეზე მოწყვეტილია. ვენაში მყოფი საფრანგეთის მისია გვამცნობს 3,000 ვაგონის ჩეხო სლოვაკიაში გზავნის შესახებ ნახშირის მოსატანად, მაგრამ ჯერ ნახშირი არა ჩანს, რაც კატასტროფას დღითი-დღე აახლოებს.

ჩიკაგოში 200 ბოლშევიკ-ანარქისტი დაატუსაღეს. შედგენილი გეგმა შტატებიდან არა სასურველ ელემენტების მოსაშორებლად.

ლოიდ ჯორჯი შაბათს ლონდონში დაბრუნდება. პარიზში მისი წასვლის დღე ჯერაც გამოურკვეველია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ეს მომავალ კვირის ხუთშაბათზე უფრო ადრე არ იქნება.

მაინციდან იუწყებიან: გერმანულ პრესის გადმოცემით გერმანიის 18 სახელმწიფო გერმანიის პოლიტიკურ გაერთიანების წინააღმდეგ წავიდა. ეს სახელმწიფოები და განსაკუთრებით კი სამხრეთის სახელმწიფოები, ფედერაციის მომხრენი არიან.

იაპონიის ციმბირში შესვლის შესახებ „მატენი" დიდმნიშვნელოვან წერილს ათავსებს თავის ფურცლებზე. ამ წერილის უმთავრესი მუხლები შემდეგია: ამერიკა ხელს უხსნის იაპონიას, იაპონია ეხლა ევროპის პოლიტიკაში დიდ როლს თამაშობს. დაბოლოს, იაპონიას აქვს თავის კანადა უზარმაზარი ციმბირი, პურით, უსაზღვრო მადნეულობით, 8 მილიონი მცხოვრებით. ეს სიდიდით საშიშარი იმპერიაა. თქვენ დარწმუნდებით, რომ აზია თანდათან ძლიერდება. ევროპამ და ამერიკამ ომისათვის საშინელი მსხვერპლი გაიღეს და გამდიდრდა კი —იაპონია. კარტაზე დაისვა წყნარ ოკეანის დასავლეთ ნაწილის პრობლემა.

უმაღლეს საბჭოს უმაღლესი სხდომა დანიშნულია ორშაბათ დილისათვის. იგი ალბათ შეუდგება გერმანიის საზღვაო მასალის საკითხის გარჩევას.

სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ ჰელსინგფორსის კონფერენცია, სადაც წარმომადგენელი იქნება ფინეთი, ბალტიის სახელმწიფოები და პოლონეთი, ბოლშევიკების წინააღმდეგ შეერთებულ ძალებით საბრძოლველად, დანიშნულია 15 იანვრისათვის.

ახალი ამბები

მთავრობის თავმჯდომარის ნ. ნ. ჟორდანიას ლანჩხუთში გამგზავრების გამო, მისი თანამდებობის შესრულებას შეუდგა საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი.

◆ **მასწავლებელთა საყურადღებოთ.** საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების პირველი ყრილობა გაიხსნება 8 იანვარს, დილის 12 საათზე, რეალური სასწავლებლის დარბაზში. პროვინციებიდან ჩამოსულ მასწავლებელთა ბინა ექნებათ მეექვსე ვაჟთა გიმნაზიის შენობაში (ერმოლოვის ქუჩა, № 6) მიმართავენ დავით პარკაძეს.

◆ **თათბირი.** 4 იანვარს, იუსტიციის სამინისტროში მინისტრი რ. არსენიძის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი, რომელზედაც შემუშავებულ იქნა წესები რესპუბლიკის მართლ-მსაჯულობის საქმეების გაუმჯობესობის შესახებ.

◆ **სახელმწიფო კონტროლის მოსამსახურეთა** კრებამ 25 დეკემბერს დაადგინა მოითხოვონ ჯამაგირების მომატება. მოთხოვნას მოსამსახურენი იმით ასაბუთებენ, რომ ცხოვრების პირობები ყველასათვის ერთნაირად გართულდა. მოსამსახურეთა აზრით ჯამაგირების განსხვავება თანამდებობათა შორის არ უნდა აღემატებოდეს 200—400 მ.

— **დავით მ. ჩხეიძეს თქვენ მიგიღიათ საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსეთიდან** ჩემს სახელზე მოსული წერილი და გთხოვთ დამიბრუნოთ. მისამართი: ტფილისი, უბანი ვაკე. სახლი ლალიაშვილისა, დავით ა. ჩხეიძე.

საგარეო პოლიტიკის მიმოხილვა 1919 წ.

გასული წლის განმავლობაში საქართველოს საგარეო პოლიტიკა ერთი მხრით მიმართული იყო მეზობელ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებისაკენ, მეორე მხრით —დაუცხრომლად ამზადებდა ნიადაგს ევროპის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისათვის. თუ შინაური მდგომარეობა და ურთიერთობა მეზობლებთან ხშირად მეტად მძიმე იყო, ევროპაში ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობისათვის მუშაობა კიდევ უფრო ძნელ პირობებში სწარმოებდა. თვით ევროპის სახელმწიფოთა შინაური საქმეები და ურთიერთობა ისეთნაირად იყო და არის აწეწილი და მათი მრავალ ინტერესთა ხლართი ისე არეული, რომ საქართველოს საკითხი მეტად ბუნდოვანად ისახებოდა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრების ეკრანზე, სადაც წარმოუდგენელი სისწრაფით სცვლიდა ერთი სურათი მეორეს.

მთავარ ღერძად, რომლის გარშემო ტრიალებდა ევროპაში საქართველოს საგარეო პოლიტიკა, უნდა ჩაითვალოს საქართველოს დელეგაცია, საზავო კონფერენციაზე წარგზავნილი. ეს დელეგაცია ჩხეიძისა და წერეთლის მეთაურობით ტფილისიდან გაემგზავრა იანვრის 9-ს. მას ბევრი დაბრკოლება შეხვდა გზაში და მხოლოდ თებერვლის დამლევს ჩავიდა პარიზს. საზავო კონფერენციაზე ჩვენი დელეგაციის წარგზავნას წინ უძღოდა ევროპის ინფორმაციისათვის პარტიული წარმომადგენლების გაგზავნა კ. გვარჯალაძის მეთაურობით. მათ ჰქონდათ შესაფერი მანდატებიც ოფიციალურად მუშაობის წარმოებისათვის. ისინი საქართველოდან 1918 წლის ოქტომბრის დამლევს გაემგზავრნენ. პირველათ კოპენჰაგენში ჩავიდნენ. დანიიდან ისინი გადავიდნენ შვეციაში და იქიდან ნორვეგიაში და შემდეგ ლონდონში. აქ ყველგან საქართველოს წარმომადგენლებს ოფიციალური პირნი დიდის სიმპატიით ხვდებოდნენ და ჰპირდებოდნენ ყოველგვარ დახმარებას. ლონდონში მათ მაშინვე დაინახეს, რომ საქართველოს მტრებს იქ გაუვრცელებიათ ათასნაირი ფანტასტიური ჭორები. მაგრამ მაინც და მაინც ინგლისში ამ ჭორებს იმგვარათ ყურადღებას არ აქცევდნენ, ვინაიდან ინგლისელებს იმდენად წარსული არ აინტერესებდა, რამდენადაც მომავალი პერსპექტივები და ამიტომ ისინი თანდათან და გულმოდგინეთ სწავლობდენ საერთოდ კავკასიის საკითხს.

ლონდონიდან საქართველოს წარმომადგენლები პარიზში გაემგზავრნენ. ჩასვლისათანავე ისინი შეეცადენ ამ დროისთვის იქ ჩასულ ყველა დელეგაციებთან კავშირის გაბმას, განსაკუთრებით მათთან, ვისაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს საკითხთან. პარიზში მათ უფრო მეტი კვალი იპოვეს საქართველოს მტერთა ბნელი მუშაობისა. ისინი შეუდგენ ცრუ ხმების და ცილისწამების გაფანტვას და დიდის ენერგიით უმზადებდენ ნიადაგს კ. ჩხეიძისა და ი. წერეთლის ჩამოსვლისათვის. სანამ საქართველოს ოფიციალური დელეგაცია პარიზს ჩავიდოდა, მის წევრებს მოუხდათ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა საფრანგეთის მთავრობის წინაშე. 22 იანვარს საფრანგეთის მთავრობის შეკითხვის საპასუხოთ მათ გადასცეს მთავრობას ნოტა საქართველოსა და ოსმალეთ-გერმანიის დამოკიდებულების შესახებ. 30 იანვარს მათ მიმართეს ნოტით საზავო კონფერენციას პრინკიპოს გეგმის შესახებ. იმავე დღეს კონფერენციას მეორე ნოტა გადასცეს საქართველოს დამოკიდებულების შესახებ მეზობლებთან. ეს ნოტა გამოწვეული იყო იმ ცრუ ხმებით, რომლებსაც ავრცელებდენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა პრესტიჟის დასაცემად. 6 თებერვალს, ვენიზელოსის განცხადების შემდეგ, რომლითაც მან ტრაპიზონის ვილაეტი სომხეთის ნაწილად აღიარა, საზავო კონფერენციას გადაეცა მესამე ნოტა, სადაც ლაზისტანი საქართველოს რევანდიკაციის ერთ მუხლად იყო ჩათვლილი.

თებერვლის დამლევს პარიზს ჩავიდნენ კ. ჩხეიძე და ირ. წერეთელი. საფრანგეთის საგარეო მინისტრთან და სხვა ოფიციალურ წრეებთან ლაპარაკის და მიწერ-მოწერის დროს საქართველოს დელეგაცია დარწმუნდა, რომ საქართველოს საკითხზე მოკავშირეთ არა აქვთ გარკვეული შეხედულება. ეს ცხადი შეიქნა დელეგაციის ჩასვლის პირველ ხანებშივე. სიტყვიერად საქართველოს თითქოს ყველა სიმპატიით ეპყრობოდა, მაგრამ ცალკე საქართველოს საკითხის გამოყოფა არავის არ სურდა და ყველა ამ კითხვას რუსეთის კითხვას უკავშირებდა. კოლჩაკ-დენიკინის და ანტანტის მეგობრულმა პოლიტიკამ შექმნა ისეთი ატმოსფერა, რომ ევროპის ოფიციალური წრეები რუსეთის საკითხში სრულიად დაეყრდნენ კოლჩაკის გამარჯვების პერსპექტივებს. კოლჩაკის გამარჯვება მოკავშირე სახელმწიფოთა მმართველ წრეებს აუცილებლად მიაჩნდათ და მათი წარმოდგენით ამ გამარჯვებას უთუოდ მოჰყვებოდა მთლიანი რუსეთის ძლიერი მთავრობის შექმნა. რუსეთის წარმომადგენლებიც ევროპაში, განურჩევლად მიმართულებისა, რუსეთის გაერთიანების მოტრფიალეთ გამოდიოდენ. ეს ქმნიდა ისეთ მდგომარეობას, რომ საქართველოს დელეგაციას ხშირად მიმართავდენ რჩევით: დაუბრუნდით რუსეთს.

რადგანაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კითხვის ცალკე დასმა გვიანდებოდა, აზერბეიჯანისა და საქართველოს დელეგაციებმა სექტემბრის 17-ს კლემანსოს მიმართეს ნოტით, რომლითაც სთხოვდენ შეედგინათ საზავო კონფერენციასთან ცალკე კომისია, რომელსაც დაევალებოდა შესწავლა კავკასიის კითხვისა. მაგრამ ამ ნოტას შედეგი არ მოჰყოლია.

საფრანგეთი დაინტერესებული იყო მთლიანი რუსეთის აღდგენით ორის მოსაზრებით: ერთის მხრით ის ფიქრობდა ამ გზით რუსეთის სესხის სახით დაბანდებულ აურებელ ოქროს დაბრუნებას და მეორე მხრით, დამარცხებულ, მაგრამ მაინც თავაწეულ გერმანიის საწინააღმდეგოთ ძლიერი და მოკავშირე რუსეთის შექმნისკენ მიისწრაფოდა. საფრანგეთის პოლიტიკის ასეთი მიმართულება რუსეთის საკითხში საქართველოს შესახებაც ქმნიდა ცალმხრივ შეხედულებას. არც ინგლისის მთავრობას ჰქონდა საქართველოს კითხვაზე გარკვეული პოლიტიკური გეგმა. ინგლისის წარმომადგენელი პარიზში ყოფილ რუსეთის ერთა დელეგაციებს ურჩევდა რუსეთთან ფედერატიულად შეკვრას. მაგრამ ამის შემდეგ ჩერჩილმა განაცხადა: ბოლშევიკებს იმიტომ ვებრძვით, რომ გვინდა რუსეთში აღმოცენებული ახალი პატარა სახელმწიფოები გავამაგროთ, რომ მათგან შევქმნათ კორდონი გერმანიასა და რუსეთს შორისო. ეს მერყეობა დამახასიათებელი იყო საერთოდ მოკავშირეთა პოლიტიკისა რუსეთის შესახებ. ეს აიხსნებოდა იმით, რომ მათ არ იცოდენ, თუ როგორ განვითარდებოდა რუსეთში სამოქალაქო ომის მიმდინარეობა და რა შედეგებს მიაღწევდა ის. რუსეთის სინამდვილეს ისინი ძლიერ ნაკლებად იყვნენ გაცნობილნი და ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საკითხში თითქოს ძალიან ფრთხილად და თავდაჭერილად მოქმედებდენ, მაინც მათი პოლიტიკა რუსეთის მიმართ სრულიად გაურკვეველი და ბუნდოვანი იყო. ევროპის მესვეურებმა ვერ გაითვალისწინეს რუსეთის შინაური ბრძოლის მოსალოდნელი შედეგები და დაეყრდნენ საეჭვო ძალას. როცა კოლჩაკ-დენიკინი იმარჯვებდა, მოკავშირე სახელმწიფოთა სიმპატია რუსეთის პატარა ერთადმი სუსტდებოდა. პირიქით, როცა ბოლშევიკები იმარჯვებდენ—მოკავშირენი მეტის ყურადღებით ეპყრობოდენ ამ ერთა ინტერესებს.

მაგრამ საზოგადოებრივი აზრი, როგორც ინგლისში, აგრეთვე საფრანგეთში თანდათან ეჩვევა იმ აზრს, რომ რუსეთის კრიზისი კიდევ დიდხანს ვერ მოგვარდება და პატარა ერებს მეტი ყურადღება სჭირია. საფრანგეთის ფინანსიური და ეკონომიური წრეები დაბოლოს უკმაყოფილონი გახდენ ამიერ-კავკასიის ერთა მიმართ საფრანგეთის პოლიტიკით. მათმა წარმომადგენელმა დეპუტატმა დემონზიმ შეკითხვით მიმართა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს საქართველოს და აზერბეიჯანის შესახებ.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საკითხში არის კიდევ ერთი მხარე, რომელიც ძალიან აშინებს ევროპის სახელმწიფოებს. ეს არის კავკასიის ბალკანიზაციის შიში. ამ შიშის დასაძლევათ საქართველოს დელეგაცია პარიზში ყოველი ღონით ცდილობდა მთავარ და მნიშვნელოვან ნაბიჯის გადადგმა მოეხდინა კავკასიის რესპუბლიკათა დელეგაციებს საერთო გამოსვლებით. ამ მხრით სრული სოლიდარული მოქმედება სწარმოებდა აზერბეიჯანთან, ხოლო სომხეთის დელეგაციასთან, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა მტკიცე შეთანხმება. ერთად-ერთი გამოსვლა, რომელშიაც მიიღო მონაწილეობა სომხეთის დელეგაციამაც, იყო საერთო ნოტა საზავო კონფერენციის მიმართ ამიერ-კავკასიაში მოკავშირეთა ჯარის დატოვების შესახებ. დანარჩენ შემთხვევებში სომხეთის დელეგაცია ყოველთვის გაურბოდა შეთანხმებულ ნაბიჯებს, სამაგიეროთ ჩვენი დელეგაცია დიდის ხალისით სარგებლობდა ისეთი ფაქტებით, როგორიც იყო სომხეთ-საქართველოს ხელშეკრულებები.

აღსანიშნავია საქართველოს დელეგაციის მუშაობა ევროპის სოციალისტურ წრეებში. ინტერნაციონალის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის დემოკრატიაში საქართველოს იდეის განმტკიცებისათვის, აგრეთვე ლუცერნის კონფერენციაზე მიღებული რეზოლუცია რუსეთის მიერ ერთა და კერძოთ საქართველოს შესახებ, სავსებით უნდა მიეწეროს ჩვენი დელეგაციის წევრთა მუშაობას. ინტერნაციონალის რეზოლუციამ დიდი მორალური გავლენა იქონია ევროპაში. საფრანგეთის სოციალისტური პარტიები საქართველოს საკითხით ვერ დაინტერესა ჩვენმა დელეგაციამ, ვინაიდან ეს პარტიები ბოლშევიზმს მეტის სიმპატიით ეპყრობიან, ვინემ მცირე ერთა დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას. მათი უკიდურესობის მიზეზი იმაშია, რომ მიუხედავათ იმისა, რომ მეთაურებს არაფერი სწამთ ბოლშევიზმისა, საერთოდ მუშათა კლასის თანამედროვე სულიერი განწყობილება იმდენად რადიკალურია, რომ პარტიის მესვეურნი იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ ამ ფსიქოლოგიურ რადიკალიზმს, რომ არ დაჰკარგონ მასსაზე გავლენა და ამით არ გააძლიერონ ბოლშევიკური ტენდენციები. ასეთ პირობებში მეტად ძნელი შეიქნა ჩვენი დელეგაციისათვის საფრანგეთის სოციალისტურ პარტიებთან დაახლოვება. მით უფრო აღსანიშნავია ბერნში, ამსტერდამში და ლუცერნში ჩვენი დელეგაციის წევრთა გავლენით დადებითი შედეგების მიღწევა. ევროპის დემოკრატიასთან დაახლოებას და მისთვის საქართველოს კითხვის გაგებისა და შეთვისების გაადვილების საჭიროებას ცხად ყოფს ევროპის სოციალ-პოლიტიკურ გარდაქმნათა შესაძლებლობა. იქ მრავალი საკონფლიქტო მასალაა დაგროვილი და აუცილებელია ძირითადი სოციალური რეფორმები.

საზავო კონფერენციამ ვერ შესძლო გაუმკლავებოდა და თავი გაერთვა იმ საქმისათვის, რომლის მოსაგვარებლად იგი იყო მოწოდებული. ამერიკა მოშორდა კონფერენციის მუშაობას და ამით დიდი ვნება მიაყენა მისს პრესტიჟს. ბოლოს დადგა მომენტი, როცა საზავო კონფერენცია უნდა დაშლილიყო, სანამ არ დაჰკარგავდა ყოველგვარ გავლენას. ამ ჟამად ფაქტიურად იგი უკვე აღარ არსებობს, დაშლილია. რაც კონფერენციას დაუმთავრებელი კითხვები დარჩა, ლონდონში იყრის თავს და მოსალოდნელია, რომ ევროპის პოლიტიკური ცენტრი პარიზიდან ლონდონში გადავა. კონფერენციის დაშლას ერთი მხრით ხელი შეუწყო კოლჩაკ-დენიკინის დამარცხებამ, მეორე მხრით მოჰყვა ანტანტის პოლიტიკის გადასინჯვა რუსეთის შესახებ. ინგლისმა, როგორც უძლიერესმა სახელმწიფომ, იკისრა ამ კითხვის დასმის თაოსნობა და 8 ნოემბერს ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ინგლისი ამის შემდეგ აღარ ჩაერევა რუსეთის შინაურ საქმეებში, მაგრამ გულგრილად ვერ უყურებს რუსეთის ამბებს და ფიქრობს, რომ ბოლშევიკების დაძლევა ხმლით შეუძლებელია და ბრძოლის სხვა მეთოდები უნდა მოიძებნოსო. და თან დასძინა ფრთხილად, რომ შესაძლოა მალე მოსახერხებელი შეიქნეს მოკავშირეებს განაახლონ პრინკიპოს წინადადებაო. ნოემბრის 10-ს ინგლისის თემთა პალატაში დეპუტატებმა შეკითხვით მიმართეს მთავრობას დენიკინის მოქმედების შესახებ უკრაინის, ყუბანის, ჩრდილო-კავკასიის და საქართველოს წინააღმდეგ. უკრაინის შესახებ მთავრობის ერთმა მოხელემ უპასუხა: დენიკინს დახმარება პალატის დადგენილებით მიეცა და პირობაში ნაჩვენები არ არის, როგორ გამოიყენებს ის ამ დახმარებას. საქართველოსა და ჩრდილო-კავკასიის შესახებ სამხედრო მინისტრმა ჩერჩილმა შეკითხვებს უპასუხა, რომ ამ ქვეყნების წინააღმდეგ მოქმედება დენიკინის გეგმაში არ შედის. ახალი მეთოდი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლისა, რომელზედაც ლაპარაკობს ლოიდ-ჯორჯი, უნდა ვიფიქროთ, მდგომარეობს იმაში, რომ გამაგრებულ იქნას ანტიბოლშევიკური სახელმწიფოები რუსეთის ძველ ტერიტორიაზე აღმოცენებულნი. ამ მხრივ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს ახალი შესაძლებლობა ეშლება წინ. ანტანტა, ცხადია, ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლას თავს არ დაანებებს, მაგრამ ნაცვლად კოლჩაკ-დენიკინის გამაგრებისა, რაც იწვევდა ბოლშევიკების როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად გაძლიერებას, იგი შეეცდება ისარგებლოს წარსულის გამოცდილებით და გამოიყენოს ბოლშევიკების წინააღმდეგ არა რეაქციის მოტრფიალე ელემენტები, არამედ პროგრესიული ცოცხალი ძალები, რომელთაც ნიადაგი აქვთ გამაგრებული პატარა სახელმწიფოებში.

საქართველოს დელეგაცია პარიზში ეკონომიურ კითხვებსაც სათანადო ყურადღებას აქცევდა. ამ მიზნისათვის დაარსდა ეკონომიური კომისია, რომელსაც აქვს ურთიერთობა და კავშირი სხვა და სხვა ფინანსიურ და ეკონომიურ დაწესებულებებთან. დელეგაცია ჰბეჭდავდა პერიოდულად საინფორმაციო ბიულეტენებს და ათავსებდა ცნობებს და წერილებს პარიზის გავლენიან ჟურნალ-გაზეთებში.

პარიზს შემდეგ მნიშვნელოვანი მუშაობა სწარმოებს კონსტანტინოპოლში, სადაც დიპლომატიურ მისიას ხელმძღვანელობს გ. რცხილაძე. კონსტანტინოპოლი ამჟამად ერთგვარი ცენტრია, სადაც თავს იყრის დიდ სახელმწიფოთა ინტერესები და იქ ჩვენი მისიის მუშაობას დიდი მნიშვნელობა ექნება.

ჩვენს რესპუბლიკას თავისი წარმომადგენლები ჰყავდა მოსკოვში, კიევში, ოდესაში, როსტოვში, ბაქოში და ნოვოროსიისკში. დენიკინის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე ჩვენი წარმომადგენლობა გააუქმა დენიკინმა, ხოლო უკანასკნელ ხანებში საბჭოთა რუსეთის მთავრობამ დააპატიმრა ჩვენი მისიის წევრები იმიტომ, რომ ჩვენმა მთავრობამ ყაჩაღ-ბოლშევიკების წინააღმდეგ მიიღო რეპრესიული ზომები. ამით, რასაკვირველია, საბჭოთა მთავრობამ ფარად აიღო ჩვენებური ბოლშევიკების მოქმედება და დაადასტურა, რომ ისინი მოქმედებენ საბჭოთა მთავრობის დირექტივების თანახმად. ჩვენი წარმომადგენლების დაპატიმრება—ეს უხეში დარღვევა იყო საერთაშორისო ნორმების, ეს გამოიწვია და ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრმა სათანადო ნოტით გააუქმა საბჭოთა რუსეთში ჩვენი წარმომადგენლობა.

გასულ წელს, როგორც ზემოდ გვქონდა აღნიშნული, ჩვენი საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო მეზობელ რესპუბლიკებთან სოლიდარობის და კეთილ-განწყობილობის ჩამოგდებისაკენ. ამ მხრით ბევრი რამ გაკეთდა: ამიერ-კავკასიის ერებმა, სახელმწიფოებმა გამონახეს საერთო ენა და აღიარეს ერთად კულტურული და სატრანზიტო პრინციპი, რომლის ძალით ყოველგვარი დავის, უთანხმოების გადაწყვეტა უნდა მოხდეს ურთიერთთან შეთანხმებით, ან სავალდებულო არბიტრაჟით. ამ მხრით აღსანიშნავია ის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო 12 სექტემბერს საქართველოს და სომხეთის შორის შესახებ თავისუფალი ტრანზიტისა და ყოველივე სადაო საკითხების ერთმანეთთან შეთანხმებით, ან სავალდებულო არბიტრაჟით გადაწყვეტის შესახებ. ასეთივე ხელშეკრულება იქნა დადებული სომხეთ-აზერბეიჯანის შორის ჩვენი მთავრობის უშუალო მონაწილეობით და ინიციატივით. აღსანიშნავია აგრეთვე საქართველო-აზერბეიჯანთან ივნისის 16 ს დადებული ხელშეკრულება შესახებ საერთო თავდაცვის წარმოებისა. ამრიგად მეზობელ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებაში ჩვენი მთავრობის პოლიტიკა დიდი გამარჯვებით დაგვირგვინდა და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ წელს სრული გამარჯვებით დაგვირგვინდება აგრეთვე მეორე მხარე—ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობისაკენ—მიმართული პოლიტიკა, ის, რაც ძველმა წელმა დაიწყო, ახალმა წელმა უნდა დაამთავროს.

საქ. სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ყველა სამაზრო და საქალაქო ორგანიზაციებს

ცეკა მოაგონებს, რომ თანახმად პარტიული წესდების მეათე მუხლისა ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია ვალდებულია 15 იანვრამდე წარუდგინოს ცენტრალურ კომიტეტს ანგარიში გასული წლის მოღვაწეობის შესახებ. (უფ. 5—1)

უცხოეთი

* * *

ლენინის წერილი სერატის და იტალიის კომუნისტებისადმი. იტალიურ გაზეთებში გამოქვეყნდა ლენინის შემდეგი წერილი: ძვირფასო მეგობრებო! ძლიერ ნაკლებად ვიღებთ ცნობებს იტალიიდან: მხოლოდ უცხოელების გაზეთებიდან, არა-კომუნისტებიდან, ჩვენ შევიტყეთ თქვენი კონგრესის მოწვევა, რომელიც შესდგა ბოლონიში და სადაც ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა წილად კომუნიზმს. გულითად სალამს გიძღვნით, როგორც თქვენ, აგრეთვე იტალიის ყველა კომუნისტებს და გისურვებთ ბრწყინვალე გამარჯვებას. იტალიის სოციალისტური პარტიის მაგალითი დიდ გავლენას იქონიებს მთელ მსოფლიოზე. სწორად მიმაჩნია თქვენი გადაწყვეტილება, რომ მიიღოთ მონაწილეობა ბურჟუაზიული პარლამენტის არჩევნებში. და იმედი მაქვს, რომ ეს ხელს შეუწყობს მოსპოს ის განხეთქილება და აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც არსებობს გერმანელ კომუნისტებს შორის.

უდავოა ის, რომ ოპორტუნისტები, რომლებიც ბლომად მოიძებნებიან იტალიის პარლამენტის სოციალისტურ ფრაქციაში, შეეცდებიან გააუქმონ ბოლონიის კონგრესის დადგენილებები. ამ გვარ ტენდენციებთან ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. მაგრამ ის გამარჯვება, რომელიც თქვენ გხვდათ წილათ ბოლონიში, გაგიადვილებთ ახალ გამარჯვებებს. იტალიის საერთაშორისო მდგომარეობის გამო იტალიის პროლეტარიატის წინაშე სდგას მეტად მძიმე მიზნები. შესაძლებელია ინგლისის და საფრანგეთ-იტალიის ბურჟუაზიის დახმარებით შეეცადონ პროვოკაციულათ მოაწყონ ნაადრევი აჯანყება იტალიის პროლეტარიატის, რომ უფრო ადვილათ შესძლონ მისი ჩახშობა. მაგრამ ისინი ვერ შესძლებენ თავიანთ გეგმების განხორციელებას. იტალიის კომუნისტების მუშაობა თავდებია იმისა, რომ კომუნიზმის საქმე მოიპოვებს ნიადაგს სამრეწველო და სოფლის პროლეტარიატში და აგრეთვე წვრილ მესაკუთრეებში და მაშინ წინასწარ არჩევნების დროს, რომელიც ხელსაყრელ საერთაშორისო მომენტში მოხდება, იტალიის პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება იქნება საბოლოვო. ამის გარანტია არის აგრეთვე საფრანგეთის, ინგლისის და მთელი ქვეყნების კომუნისტების გამარჯვება. კომუნისტური სალამით.

ნ. ლენინი.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში

სავალდებულო დათესვა ცარიელი ადგილებისა.

31 დეკემბერს მიწათ-მოქმედების სამინისტროში შესდგა თათბირი ერობათა წარმომადგენლების თანდასწრებით ცარიელი ადგილების სავალდებულო დათესვის შესახებ. თათბირზე წარმოდგენილი იყო შემდეგი დებულებანი: 1) იჯარით გადაეცემა ყველა სახელმწიფო თუ საუფლო მიწისა იმ პირებზე, რომელთაც ყავთ საქონელი და მოეპოვებათ სამეურნეო იარაღები, რომ დასთესონ ცარიელ ადგილებში პური. 2) მიღებულ იქნას ზომები, რომ დაუმუშავებელი მიწები გლეხების და კერძო მესაკუთრეების გადაეცეთ იმავე პირობით მოიჯარადრეებს გაზაფხულზე დასათესათ. 3) თუ ვინიცობაა სათესლე ხორბალი დააკლდება დამთესს, მას მიწათ-მოქმედების სამინისტრომ უნდა მისცეს სათესლე თავის აკრეფილ ლალებიდან და აგრეთვე სამინისტროს 5 მილ. ფონდიდან. სამინისტროს სათესლე დაუბრუნდება მოსავლის მოკრებისათანავე. 4) აღმოუჩინოს დახმარება ხალხს სამეურნეო იარაღების მიწოდებით და გაუმჯობესდეს საერობო და სახელმწიფო იარაღების მიმწოდებელი პუნქტები. იჯარით გადაცემა ცარიელ ადგილებისა დაკისრებული აქვს სამაზრო ერობებს, ძალდებითი იჯარით გაცემა კერძო პირთა მიწების დაკისრებული აქვთ წვრილ ერთეულებს. მოიჯარადრეები, რომლებიც იძულებით იჯარით გადაცემულ მიწებს დაამუშავებენ, სახელმწ. ან მიწის პატრონს მოსავლის ერთ მეათედს ლალად აძლევენ. იმ რაიონ., სადაც მცხოვრებლები დაზარალებულნი არიან ოსმალთა შემოსევის გამო (ახალქალაქის მაზრა) გადაწყვეტილია მიწების დამუშავება მეზობელ მაზრების მომუშავე არტელებს დაეკისროთ. ამ არტელებს მოაწყობენ ერობები და მიიღებენ მომუშავეები ლალით ცარიელ ადგილებს. ყველა ამ დებულებათა შესამუშავებლათ არჩეულ იქნა სპეციალური კომისია.

წერილები ბათუმიდან

I

ბინის კრიზისი და სიძვირე

შარშან როგორც კი ქალაქი მოკავშირეთა ხელში გადავიდა, ყოველი მხრიდან იწყეს მცხოვრებლებმა დაბრუნება. ქალაქი გამოცოცხლდა ვაჭრობა გაჩაღდა და შავი ზღვის საომარი ზონიდან გამოსვლამ და დარდანელის გახსნამ შესაძლებელი გახადა დასავლეთ ევროპასთან ვაჭრობა-დამოკიდებულების განახლება. ბათუმის ნავსადგურში იწყეს შემოსვლა სხვადასხვა მხრიდან საქონლით სავსე გემებმა. უმეტესად შემოჰქონდათ

ფართლეულობა, რომელიც ძლიერ ნაკლებით იყო ამიერ-კავკასიაში. მრავლათ გაიხსნა საქონლის საწყობები, დაარსდა სხვადასხვა სააქციონერო საზოგადოება. „ბუზი თაფლს ეხვევაო“, და აი, ბათუმსაც დაეხვევიან ყოველი კუთხიდან ვაჭრები. სანაპირო ქუჩა, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში მიმკვდარებული იყო, დღეს გამოცოცხლდა. ვინ გინდათ რომ აქ არ ნახოთ. წვრილი ვაჭრები, რომელნიც ნაჭრობით ეზიდებიან აქედან საქონელს, სპეკულიანტები, სხვადასხვა ჯურის მოსაქმენი...

მსხვილი ფირმები უმთავრესად ვაჭრობას ბითუმათ ეწევიან. აქაური დემოკრატია ცუდ პირობებში ჩავარდა ამის გამო. მას არა აქვს საშუალება ბევრის ერთად შეძენისა, ცოტას კი არავინ აძლევს. შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს აქაურმა წვრილფეხა ვაჭარ-სპეკულიანტებმა და ყველაფერზე გაზარდეს ფასები. ხშირია შემთხვევა, რომ აქაურები თფილისში და ქუთაისში მიდიან ტანისამოსისა, ფეხსაცმელებისა თუ სხვა რამისათვის.

ვაჭრობის აღორძინებამ გამოიწვია მოთხოვნილება სხვადასხვა სახელმწიფოთა ფულებისა. აქ გაჩნდნენ ახალი ტიპის სპეკულიანტები-ზარაფები, რომელთა მაღაზიების რიცხვი დღითი დღე მატულობს. მოთხოვნილებასთან ერთად ხელოვნურადაც ზრდიან და სცემენ ფულების ღირებულებას.

მოხალისეთა გამარჯვებამ ერთს დროს დაბადა ილიუზიები რუსეთიდან პურისა და სხვა სანოვაგის გამოტანისა. ამან აწია ფასი დონის ფულის ნიშნებისა. დაინტერესებულმა პირებმა და მოხალისეთა აგენტებმა ქალაქი დონის ფულის ნიშნებით აავსეს. საქართველოს გავლენის შესამცირებლად ქალაქსა და ოლქში ერთ დროს ისიც კი მოახერხეს, რომ დონის ფულის ნიშნების მიღების სავალდებულო დადგენილებაც გამოაცემინეს ადგილობრივ ინგლისის სარდლობას. ამით ადგილობრივი დენიკინელები თითქოს გამარჯვებასაც კი დღესასწაულობდენ და „რუსული ბათუმის“ მათთვის გადაცემას დღე-დღეზედ ელოდენ. შემოდგომაზედ ადესის მოხალისეთა მიერ აღებამ მათი იმედები გაადიდა. აქაურ შავების ორგანოს გმირებმა მედიდურათ იწყეს ყველას დაჯერება დენიკინის მესიობაში. მაგრამ... გავიდა ხანი, ინგლისი უკვე აშკარად დარწმუნდა, რომ დენიკინი ვერ გახდება რუსეთის მხსნელი. ბათუმის ოლქის მათზე გადაცემაც არ არის ხელსაყრელი ინგლისისათვის,—და ყველასთვის მოულოდნელათ გამოცხადდა ბათუმის ოფიციალური ოკუპაცია ინგლისის მიერ. მეხივით იმოქმედა ამან აქაურ დენიკინელებზე. მაგრამ თავს დღესაც იმით ინუგეშებენ, რომ ინგლისმა ოკუპაცია გამოაცხადა მხოლოდ დროებით და ისიც იმიტომ, რომ „რუსული ბათუმი“ ბოლოს და ბოლოს ისევ რუსეთს (იგულისხმეთ დენიკინს) გადასცენ. ამაზედ თქმულა: „ნეტარ არიან მორწმუნენიო“. ახლა ეს იმედიც ეკარგებათ.

ოკუპაციის გამოცხადებიდანვე დაეცა კურსი დონის ფულის ნიშნებისა. მოხალისეთა უკანასკნელმა დამარცხებებმა ფრონტზე ხომ სრულიათ გაუთხარა საძირე მათ ფულებს. კერძოთ მოხალისეთა მიერ გამოცემულ ფულის ნიშნებს არც ერთი დაწესებულება არა ღებულობს. ასეთი ბედი სწვია, მაგ., მათ ათას მანეთიანებს, რომელიც გიორგის ჯვრის ლენტებით არის აჭრელებული. პოლიტიკურ მიზეზებს დაერთო ეკონომიურიც. რუსეთიდან საქონლისა და პურის მიუღებლობამ დიდი გავლენა მოახდინა ფულის ღირებულებაზე. დღეს დონის ფულებს თითქმის არავითარი ღირებულება აღარ შერჩა.

სამაგიეროთ დღითი-დღე მატულობს ჩვენი ბონების ფასი. ბონებზე ყველაფრის ყიდვა ბაზარზე ორჯერ-სამჯერ უფრო იაფათ შეიძლება. როცა ამ წერილსა ვსწერ ბონები უკვე 130 პროც. მეტს ფასობს დონის ფულთან შედარებით. ამან ძალიან შეაწუხა აქაური აგენტები დენიკინისა და ბ ნ ფრანჩესკის ფინანსისტები „Нашъ край“-დან სხვადასხვა ზომების ძებნაში არიან წამხდარი საქმის გამოსაკეთებლათ. მაგრამ უშედეგოთ ცხოვრებას თავისი რკინის კანონები აქვს და მისი შეცვლა დეკრეტებითა და ბრძანებებით შეუძლებელია. ამისთვის სულ სხვა რამეა საჭირო.

„მეც წავხდი და შენც წაგახდინეო“. სწორედ ასეთი საქმე დამართეს ბათუმის ოლქს დენიკინელებმა. თავის დროს დონის ფულის ნიშნებით აავსეს აქაურობა. დღეს ამ ფულმა ყოველივე ღირებულება დაკარგა, მუშა-მოსამსახურენი ჯამაგირსა თუ ხელფასს ამ ფულით ღებულობენ. მათი ცხოვრებაც აუტანელი ხდება. აღარც ჯამაგირების მომატება შველის და არც სხვა რამ. ყველაზე უფრო ცუდს მდგომარეობაში ამ მხრით ქართველები არიან. მათ ხშირი მიმოსვლა და დამოკიდებულება აქვთ საქართველოსთან და იძულებულნი არიან თავიანთი ჯამაგირის მეტი ნაწილი ფულის გადახურდავებაში აძლიონ. თუ დროზე არ იქნა ზომები მიღებული ვისგანაც ჯერ არს შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლათ, მოსალოდნელია არასასურველი შედეგები.

აუტანელ სიძვირეს ერთი გარემოებაც უწყობს ხელს. თუ სადმე დიდი ბობოლა იყო რუსეთში და იქ არ ეცხოვრებოდა ბოლშევიკების გამო, ყველამ ბათუმს მოაშურა. აქ ჰპოვეს მშვიდი ნავთსაყუდელი. ქალაქი აივსო ასეთ უსაქმურ ხალხით. მათი ტალღათა დენა გაძლიერდა ბოლშევიკების გამარჯვებასთან ერთად. ამ გარემოებამ გამოიწვია დიდი მოთხოვნილება საცხოვრებელ ბინაზე. ისარგებლეს სახლის მეპატრონეთ და ბინების ფასები საარაკო გახდეს. დღეს აქ უბრალო ოთახს 3—4 ათას მანეთად ვერ იქირავებს ადამიანი. ხშირია მოვლენა, როცა რომელიმე ვაჭარს აქაც აქვს ბინა, თფილისშიც და ბაქოშიაც. ეს მოვლენა კრიზისს, ბინებისას უფრო ამწვავებს და დამქირავებელიც იძულებულია ყოველ გვარ პირობებზე დათანხმდეს, რომ როგორმე თავშესაფარი იშოვოს. მართალია, გამოიცა სავალდებულო დადგენილება, არსებობს ბინის დამქირავებელ-მეპატრონეთა შორის მომრიგებელი კამერაც, მაგრამ ფასები ბინებზე დღითი-დღე მატულობს და დასასრული არ უჩანს.

სავაჭრო დაწესებულებისათვის ბინების ფასები ხომ პირდაპირ წარმოუდგენელია! ხშირია მოვლენა როცა რომელიმე წვრილ მოვაჭრეს დუქნის დათმობაში რამოდენიმე ასი ათასი მანეთი აძლია. ბოლოს ყველაფერი ეს ხომ ისევ მომხმარებელს გადახდება.

ვაჭრობის გავრცელებასთან ერთად საგრძნობელი გახდა ხურდა ფულის ნაკლებობა. ამან ერთგვარი არევ-დარევა შექმნა ბაზარზე. მდგომარეობის გამოსაკეთებლათ აქაურმა ხაზინამ გამოსცა რაღაც სალეროთ მარკების მაგვარი წვრილი ფულის ნიშნები 1, 3, 5 10, 25 და 50 მანეთიანები. ამ ნიშნების გამოცემამ კიდევ უფრო მეტი სიძვირე შექმნა ყველაფრისა. ნიშნები ცუდ ქაღალდზეა დასტამბული. ყველა უხალისოთ ღებულობს.

აუტანელი სიძვირე, უბინობა და თავაშვებული სპეკულიაცია,—აი დღევანდელი სახე ბათუმისა!

ჯმუხა.

მატყუარების სკოლიდან

ბოლშევიკების შემოსვლამდე გიორგი ბურდიაშვილი ალბათ ერთი უენო სოფლელი იყო. ბოლშევიკებმა საბჭოთა რუსეთის ფულებით შემოსვლისათანავე სიცრუის სკოლები დაარსეს. ერთს ასეთ სკოლაში მოხვდა საბრალო გიორგი ბურდიაშვილიც.

აქ მას ასწავლიდენ, რომ საქართველოს მთავრობა ქართველ ხალხს ღალატობს, ის თავად-აზნაურობის ინტერესებს იცავს, თავად-აზნაურობამ დაიქირავა გვარდია, უნდათ ბატონ-ყმობა შემოიღონო და სხ. იმდენათ დამარწმუნებელი დარჩა ბურდიაშვილებისთვის ეს ქადაგება, რომ მათ იარაღს სტაცეს ხელი და გამოვიდენ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ჩამოსაგდებათ: რა სიცოცხლე და რა სიკვდილი, თუ ასეთი მთავრობა გვეყოლებაო!..

ვიცით როგორც გათავდა დუშეთის აჯანყება.

ზის ახლა ბოლშევიკების სიცრუის სკოლაში აღზრდილი გიორგი მეტეხის ციხეში და განაგრძობს „მეცადინეობას“ ისეთი გამოცდილი მატყუარა მასწავლებლების ხელმძღვანელობით, როგორიც ბრძანდებიან ფილიპე მახარაძე და სერიოჟა ქავთარაძე.

თუ რა შეუსწავლია მას მეტეხში, ამას მისი წერილიდან დავინახავთ. ის სწერს სიკოს და სწუხს, რომ გაგზავნილი წერილები ვერ მივიდოდა დანიშნულებისამებრ, ვინაიდან „სათავეში ძაღლები არიან“. სთხოვს ამასთანავე წაუკითხოს დედას ეს წერილი თავიდან ბოლომდე. სხვათა შორის, გიორგი სწერს სიკოს იმ შიმშილობის შესახებ, რომელიც ბოლშევიკებმა მეტეხში გამოაცხადეს—მოაგონებს, რომ გაზეთებში ამის შესახებ იყო წერილები და, ალბათ, წაკითხული გექნებაო.

უფრო საინტერესო წერილის შემდეგი ადგილია: „ჩვენ ვართ მეტეხში 300 პოლიტ. ტუსაღი—სწერს გიორგი. ეხლა როგორ უნდათ ამ მეჩხრეკებს საბჭოთა რუსეთი რომ მოდის აქეთ. ამათ რის იმედი აქვთ. მგონია ბოლჩები სულ დიდაკაცურად აქვთ შეკრული გასაქცევად. ამერიკაში იყვენ გემის საყიდლათ. გემიც გაიმზადეს. ეხლა გზას ათვალიერებენ გასაქცევათ ჩვენი ხულიგანი მთავრობა. გაზეთში სწერენ ისინი, რომ ყაჩაღები ყავთ დაჭერილიო. ერთხელ აქ მოვიდა რამიშვილი მინისტრი. იმან დაიბარა ჩვენი მოთავეები. უნდოდა მოელაპარაკათ რამე შარიგების, მაგრამ აქ არის ერთი დაჭერილი ჩრდილოეთის მხრისა შარშან რომ დუშეთში იყვნენ ბოლშევიკები იქ დაჭერილი ძალიან ნასწავლი არის სერიოჟა ქავთარაძე გვარათ და იმან უთხრა ვაინი მინისტრს მე რა მოგირიგდე დაჭერილი ვარ წადი და მორიგდი გარეთა თქვენ გაფუჭებულ საქმეს მე ვერ გაგიკეთებო“.

აი რა უსწავლებიათ გიორგი ბურდიაშვილისათვის მეტეხში „ძალიან ნასწავლ“ ბოლშევიკებს!..

ბევრის მხრით არის საყურადღებო ეს წერილი. უმთავრესად ის ახასიათებს ბოლშევიკების მოღვაწეობას ჩვენში ჭორები, სიცრუე, ხალხის მოტყუილება, ყოველი ფეხის გადადგმაზე. აი რა არის ბოლშევიკური მოღვაწეობის ნიმუშები!..

მეტეხის ციხიდან სწერენ. გარეთ მყოფთ, რომ მთავრობამ გემი შეიძინა ამერიკაში და გასაქცევად მზად არისო, მეტეხში მინისტრი რამიშვილი იყო და შერიგება ითხოვა, მაგრამ „ძალიანი ნასწავლი“ სერიოჟა ქავთარაძე არ დაეთანხმაო. არაფერი ამისი მსგავსი, რა თქმა უნდა არ ყოფილა. არავინ ბოლშევიკებთან არავითარ მოლაპარაკებას არ აწარმოებს.

გიორგი სწერს აგრეთვე სიკოს ეს წერილი დედას წაუკითხე „თავიდან ბოლომდეო“.

ჩვენში ბოლშევიკები თავიდანვე მუშაობას იწყებდენ ხოლმე ნათესავებიდან. პირველად აბოლშევიკებდნენ დედმამას, შემდეგ—დებს, ძმებს, ბიძაშვილებს, დედაშვილებს, მეგვარეებს და სხ. თითოეულ მათგანს ჰყავდა მოყვარე-ნათესავი და ასე მიდიოდა საქმე. მეტეხის ციხიდანაც ამავე გზას ადგიან...

ერთ მშვენიერ დღეს გიორგის წერილი მიუვა დედას სადღაც მიყრუებულ დუშეთის მაზრაში, წაიკითხავს ან წააკითხებს ვისმეს და ჭორიც დაგორდება სოფელ სოფელ...

სხვათა შორის, წერილი ასეთ მუქარასაც შეიცავს—... „მაგრამ ღმერთი მოწყალეა. პატივისცემას სარგებლით მიიღებენ, რაც გადაღებული ექნებათ“.

შემცდარი ვიქნებით, თუ ვიფიქრებთ, თითქოს მარტო გიორგი ბურდიაშვილი იმუქრებოდეს აგრე. ეს საერთოდ ციხეში გამომწყვდეულ ბოლშევიკების მუქარაა. ამიტომაც სხედან ისინი ციხეში და დარჩებიან მანამდე, ვიდრე თავს არ დაანებებენ მატყუარობას, თაღლითობას და არ აღიარებენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, მის დამფუძნებელ კრებას და მთავრობას...

ერთხელ და სამუდამოთ უნდა აიღონ ხელი ბ.ბ. ბოლშევიკებმა უცხო ძალის—საბჭოთა რუსეთის დახმარებით საქართველოს დამორჩილებაზე. შინაური ძალა რომ მათ მხარეზე არ არის, ამაში რამდენჯერმე დარწმუნდნენ.

ერობათა ცხოვრება

ერობათა მთავარ კომიტეტში.

ერობათა კომიტეტის სამედიცინო სასანიტარო განყოფილების დროებით გამგე ექიმ ი. ლომაურმა შეკითხვები დაუგზავნა სამაზრო ერობებს საავათმყოფოების მოთხოვნილების შესახებ. ლომაური მიუთითებს მათ, რომ ერობებმა უნდა იზრუნონ ყოველ 15 ათას მცხოვრებლებზე 15 საწოლიან საავათმყოფოების დაარსებაზე. გარდა ამისა, სამაზრო ცენტრში უნდა იქნეს 30 საწოლიანი საავადმყოფო. სამედიცინო-სასანიტარო განყოფილება სთხოვს ერობებს აცნობონ, თუ რამდენი საწოლიანი საავათმყოფოები ესაჭიროებათ მათ და შეუძლიათ თუ არა მათი შენახვა.

— ერობათა კავშირის მთავარი კომიტეტი შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა შორაპნის სამაზრო ერობას სუბსიდიის სახით მიეცეს ერთი მილიონი მანეთი 3 ხიდის გასაკეთებლად. ერთი მათგანი გაკეთებული უნდა იქნას მდინარე ყვირილაზე, რომელიც შეაერთებს მაზრის ორ დიდ ნაწილს, ხოლო მეორე ხიდი შეაერთებს მთელი ჩხარის რაიონს დანარჩენ სოფლებთან და ცენტრთან. მთავარმა კომიტეტმა წარუდგინა სამინისტროს ხსენებულ ხიდების ასაშენებელი ხარჯთ-აღრიცხვა და პროექტი.

გურიის ერობა.

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობამ გადაწყვიტა გამოსცეს ყოველკვირეული გაზეთი სახელწოდებით „გურიის ერობის მოამბე“. გაზეთი გამოვა 1 იანვარს 1920 წლისა. გამგეობამ აირჩია სარედაქციო კოლეგია 3 კაცისაგან. გაზეთში იქნება როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური განყოფილება. გაზეთში მოთავსდება საგულისხმო დადგენილებანი როგორც სამაზრო, ისე სათემო ერობისა, მოხსენებები და საერთოდ ყოველგვარი ცნობები ერობის მუშაობის შესახებ და აგრეთვე საერთო ხასიათის წერილებიც.

— გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ბერეჟიანმა ამ დღეებში ჩამოიარა 22 თემი, რომელთაც ხელმძღვანელობა გაუწია სანიტარული გადასახადის მცხოვრებლებზე გაწერა განაწილების საქმეში, გაეცნო მათ მუშაობას და საჭიროებას და სხვა.—სანიტარული გადასახადი ყველა თემებმა გაანაწილეს და აკრეფასაც უკვე შეუდგენ. იკრიბება აგრეთვე მიწის ერთდროული გადასახადიც.

— სამაზრო ერობის გამგეობამ თავის 24 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა: მიეწეროს ბახვის თემს ის ნაწილი დვაბზუს თემისა ს. ვაკიჯვრიდგან, რომელიც ამას მოითხოვს. ასეთია სულ 46 კომლამდე. დანარჩენი მცხოვრებნი ს. ვაკიჯვრისა ამას წინაზე შეუერთდა დვაბზუს თემს და ეხლაც იმ ყრილობაზე, რომელიც ამ დღეებში ს. ვაკისჯვარში გაიმართა სამაზრო ერობის, ბახვისა და დვაბზუს თემთა გამგეობების წარმომადგენელთა თანადასწრებით, ერთხმად ისურვეს დვაბზუში დარჩენა.

— ერკეთის თემი, თანახმად საბჭოს დადგენილებისა, გაიყო ორათ: ერკეთისა და ხევის თემებათ; პირველის ცენტრია—ს. ერკეთი, მეორესი—სოფ. ხევი. სამაზრო ერობის გამგეობამ ეს დაამტკიცა.

— ორათ გაიყო ზემოხეთის თემი, ზემოხეთისა და საჭამიასერის თემებათ. პირველში დარჩა სოფლები: ზემოხეთი, კვირიკე, კოლაგონი და წიაღობანი ცენტრით ს. კვირიკეში; დანარჩენი სოფლები შევიდენ საჭამიასერში ცენტრით ს. საჭამიასერში. უკანასკნელში დარჩენ ძველი ხმოსნები, ზემოხეთის თემში კი დაინიშნა ახალი არჩევნები 4 იანვრისათვის. ამ თემში დიდი ხანია არსებობდა განხეთქილება ცენტრის გამონახვის გარშემო, რასაც შედეგად მისი ორად გაყოფა მოყვა, რაც სამაზრო გამგეობამ დაამტკიცა. ამ ჟამათ გურიაში ითვლება 28 თემი.

ხუხიენ.

კულტურული მუშაობა სახალხო გვარდიაში

20 დეკემბერს გაიხსნა საგანგებო ათასეულში და საინჟინერო გუნდში თეატრი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გაკეთება და მოწყობა დაიწყო არა ზევიდან, არამედ—თვით ზემოხსენებულ გვარდიის ნაწილების კულტურულ-განმანათლებელი სექციისაგან. ამ უკანასკნელმა თავის მოკლე ხნის არსებობაში შესძლო ამ მნიშვნელოვან დაწესებულების შექმნა. პირველი ნაბიჯი ძნელია, მაგრამ ფხიზელ დემოკრატიის შვილებს შეუძლია ამ დაბრკოლების გადალახვა. ამის ნიშნები უკვე სჩანს. ახლად დაარსებულ თეატრთან სცენის მოყვარე გვარდიელებისაგან და აფიცრებისაგან შესდგა დრამატიული დასი, რომელსაც მიზნათ აქვს სისტემატიურად მართოს წარმოდგენები. თეატრის გახსნისას წარმოდგენილ იქნა—„ჯერ დაიხოცნენ, შემდეგ იქორწინეს“, რომელიც კარგათ ჩატარდა. 31 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა საკუთარი ძალების მიერ „ბატონი და ყმა“—დრამა 3 მოქ. და ვოდევილი 1 მოქ. „მკვდრები სდგებიან“. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი თეატრი ძალების მხრით არ იქნება უძლური და გვარდიელი სცენის მოყვარენი ამ მხრით უზრუნველყოფენ მას. ნორჩ თეატრს სექციამ უწოდა სახელათ „სახალხო გვარდიელი“. იმედი გვაქვს, რომ ენერგიულათ დაწყებულ კულტურულ საქმეების კეთებას გვარდიელები და მის მიერ არჩეული კულტ.-გან—ლი სექცია გაორკეცებული ხალისით განაგრძობს. სახალხო გვარდიის საგანგებო ათასეულის და საინჟინერო გუნდის სამკითხველოს მომწყობი კომისია სთხოვს სხვადასხვა დაწესებულებებს და კერძო პირებს შეძლებისდაგვარათ შემოსწირონ წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ახლათ დაარსებულ სამკითხველოს, ვინაიდან ახალი სამკითხველო ძლიერ ღარიბია, მას ესაჭიროება განსაკუთრებული დახმარება, რომ ჩვენს გვარდიელებს არ მოვაკლოთ კულტურული საზრდო: წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

შემოწირულება მიიღება: საპიორის ქუჩა, საპიორის ყაზარმები, დ. ორაგველიძესთან.

სამკითხველოს მომწყობი კომისია.

ს.-დ. პარტიაში

ნიგოითი. (გურია) 24 დეკემბერს ნიგოითში შესდგა კრება საქ. სოც. დემ. მუშათა პარტიის ნიგოითის რაიონის ამხანაგებისა. გურიის ცენტრალურ კომიტეტისა და გვარდიის სამაზრო შტაბის დავალებით კრებას დაესწრო ამხ. გ. მახარაძე და ა. ვადაჭკორია. ყრილობის განსახილველი იყო შემდეგი კითხვები:

ნიგოითის რაიონულ კოლექტივის მუშაობის შესახებ და საერთოდ ადგილობრივ პარტიულ ცხოვრების შესახებ. მოხსენებას აკეთებს ამხ. შ. სამსონაძე, რომელსაც საჭიროდ მიაჩნია ზოგიერთ იაჩეიკებში მუშაობის მეტად გაჩაღება. თანამედროვე მომენტზე მოკლე მოხსენებას აკეთებს ს. ნიკოლაიშვილი.

გურიის ცენტრალურ კომიტეტის დავალებით ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. მახარაძე, რომელიც აღნიშნავს რესპუბლიკის თანამედროვე მდგომარეობას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს პარტიულ მუშაობის გაჩაღებას. ამხ. გ. მახარაძის წინადადებით აუცილებელია მსგავსად გურიის სხვა რაიონებისა, ნიგოითის ამხანაგებმაც წრიდან შექმნან გურიის სარეზერვო გვარდია. მცირე კამათის შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი წინადადება: „ყოველი ჭეშმარიტი პარტიის წევრი, რომელსაც კი შეუძლია იარაღის ტარება, მოვალეა იყოს ამავე დროს გვარდიელი, რათა დაიცოს საჭიროების დროს რესპუბლიკის მთლიანობა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესები“.

ყრილობამ დაამტკიცა იაჩეიკების მიერ წამოყენებული კოლექტივის წევრები და აგრეთვე გურიის ცენტრალურ კომიტეტ ს წევრებათ შ. სამსონაძე და ს. ნიკოლაიშვილი.

მეთვალყურე.

მუშათა შორის

ხად. შორაპანი. აქაური რკ. გზის მუშა-მოსამსახურენი ცუდს მდგომარეობაში არიან. ზამთარი დადგა და მათ კი ჯერ არც შეშა მიუღიათ და არც თბილი ტანისამოსი. სასურსათო მაღაზიის მოსამსახურენი კი არავის ანგარიშს არ უწევენ. მათ დიდი ბოროტება ჩაიდინეს: აღმოჩნდა კერძოთ გაყიდული 80 ფუთი შაქარი და სხვადასხვა მატერიები. ამის გამო მაღლაკელიძე, გორგაძე და ცერცვაძე სასამართლოს გადასცეს, ჩხეტიანი და აბაშიძეს კი თფილისში კარგი ადგილები მიუღიათ. ასეთი უპასუხისმგებლო პირები უდგიან სათავეში ისეთ დაწესებულებას, რომელსაც მუშათა კლასისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მათ ზედამხედველობას არავინ უწევს და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ჩვენში პარტიული მუშაობა არ გაჩაღდება. დღეს ყველა სოციალდემოკრატობს იმ ანგარიშით, რომ კაი ალაგი იშოვნოს სადმე. საჭიროა დროზე მიექცეს ყურადღება ამ მოვლენას. პარტია მავნე ელემენტებისაგან გაიწმინდოს.

პ. მელაძე.

პროვინცია

ხ. ხოვლე (გორის მაზრა). 500 კომლიან სოფელზე გაიწერა მიწის 86,563 მ. და სანიტარული 34,000 მ., სულ გადასახადი 120,563 მ., რომლის გადახდის წინაამდეგ სოფელი თავს არ გაიქნევს, თუ მთავრობა, ან ერობა გაჰკირვებაშიც უშველიან ამ სოფელს, ე. ი. სარწყავი წყლის გამოყვანაში, გზების გაკეთებაში და ბევრ სხვა რამეში. მიწის გადასახადი დღიურზე გადაწყვეტილი ყოფილა აქ, როგორც გამოაცხადეს, 56 მან. ტყის სარგებლობაზე სოფელი ცოტა უკმაყოფილოა, თუმცა უფასოთ ეძლევათ სახლში სახარჯავად ორი ურემი შეშა-ფიჩხი, მაგრამ გლეხკაცისათვის ეს ძალიან ცოტაა. გასაყიდ, ან მასალის ზე ტყეზე იმდენი ბაჟი მაინც დაედოს, რომ გლეხკაცმა სული მოითქვას. წარსულ კვირეებში აქაურ ტყეებში მოეჭრათ აჯარებელი ნაძვის ხეები (შობისათვის) ნებადაურთველათ და გორის მაზრის ტყის ზედამხედველმა ბევრს დაუჭირა და არსად ნება აღარ მისცა არავის გასაყიდათ. ტყის სარგებლობის გარშემო ერთი რაღაც გაუგებრობა და დიდი დავიდარაბაა.

სოფელი ძალიან იტანჯება უწისქვილობით, თუმცა არის ღარის წისქვილები, მაგრამ მოშორებით და ისიც დიდის ვაი-ვაგლახით იფქვება და ბევრს დროსაც კარგავს აქაური მცხოვრები. ეხლახან გაკეთდა სოფელში ღარის წისქვილი და კიდევ კეთდება მანქანის დიდი წისქვილი, რომელიც ურიგო არ იქნება სოფელმა შეიძინოს.

ამოდენა სოფელში არ არის საავადმყოფო, არც ექიმი ამათთვის, რის გამოისობითაც უბრალო ავადმყოფიც კი მალე ესალმება წუთისოფელს.

სოფელი ცდილობს და კიდევაც თან და თან ერკვევა თავის შინაურ საქმეების მოსაგვარებლად ამორჩეულ პირების წყალობით, ოღონდ მთავრობამაც დახმარება უნდა აღმოუჩინოს ყოველივე კეთილ საქმეში ამოდენა სოფელს. სოფლად შიშით კაცს ვერ გაესვლება. ამას წინად აქედან 29 დეკემბერს საღამოს 4—5 ს. წამოსულა ფეხით სადგურ გრაკალში მომღერალი მიხეილ კავსაძე. გზაში შემოჰღამდა და ორი ვერსიდა აკლდა სადგურამდის, რომ ვიღაც უცნობი ღობეს ნებიდან უკან და დაახლოვებით ესე 50 საჟენზე ორჯერ უსვრია მისთვის. კავსაძემაც მსწრაფლ უპასუხა სროლითვე ზედიზედ რამდენ ჯერმე, გამოსდგომია კიდეც, მაგრამ შემდგარა, რომ ორის მეტი სასროლი აღარ დარჩენია. ბოროტგამზრახ. დაუნახავს რა ძალა მოპირდაპირისა, უსარგებლოა ღამის წყვდიადით და გაქცეულა. სადგურ გრაკალში სროლა გაუგიათ გარეთ მყოფ ხალხს, სოფლელებიც ყოფილან ადრე ჩასულან სადგურზე, კავსაძეს უყვირნია, [illegible] ყურადღება არ მიუქცევია, არც იქაურ დარაჯებს და არც რკინის გზის მილიციას, ყველას მონადირეების თოფის სროლა ჰგონებიათ. რკინის გზის სადგურის და მილიციის უფროსებმა ყველაფერი მაშინვე აცნობეს, როგორც გორის მაზრის, ისე სოფ. ახალქალაქის რაიონის კომისრებს, რომლებიც იმედია ამ სამწუხარო ამბავს დიდის ყურადღებით მოეკიდებიან და ალაგმავენ ამ რაიონში ნადირალა, ქურდ-ბაცაცა, უსაქმურ ყაჩაღებს, რომ მგზავრებმა თავისუფლად ამოისუნთქონ. სოფელმაც უნდა ადევნოს თვალ-ყური მათ.

ხოვლის გულშემატკივარი.

განცხადებანი

ექიმი მ. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (უმკურნებს „606“ და „914“. ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით [illegible] დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33

ქ. ხონში იყიდება ხამთვალი ხის
სახლი
ახალ შეღებილი და კრამიტით დახურული. მსურველთ შეუძლიათ პირობების გაგება იქვე, გ. ჭავჭანიძის სამღებრო ქარხანაში.
(3449—6—4)

დოქტორი მედიცინის
ა. ა. მონსე
სნეულებანი შინაგანი და ნერვების. წამლობა ელექტრონით, ლურჯი სინათლით გიპნოზით და შთაგონებით ავათმყოფობანი კუნთებისა, სიდამბლის და სქესობრივი სისუსტისა.—მიღება დილით: 10½—1 საათ. საღამოთი: 6—7 ს. ხუთშაბათს გარდა კვირაობით არ მიიღება ავადმყოფები. პლეხანოვის ქუჩა (მიხაილოვის პროსპ.) № 111. ტელ 13—42. (თ.—2)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 ნაშ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი
ი. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლავების, ჰეპების და ნერვიულ სისტემის. რენტგენის და ფიზიოთერაპევტიური კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—8 საათ. კრილოვის ქ. № ბინა 3. (თ.3372

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
გ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების აპერაცია-პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილით 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. 3230—თ

ექიმი ლ. მ. ჯავახიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662

ექიმი ლ. ა. ხარაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6— საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 8 ავჭალის ამბულატორიის ახლო.

ვაგზლის კერძო სამკურნალო
(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)
ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბ. ყოველ დღე 10—11 ნაშ.
ექ. გართანოვა—ვენერ. და კანის ყოველდღე 1—2.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნე და საბავშვო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი თოხლიაშვილი ქალთა სნე სამშ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბ ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუშურაშვილი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნაშ—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მ. ოპერაცია შეთანხმებით „606“ და „91
(2980—თ